# 1993

**1-2**

F-558
1993

ქალი პრესაში საუკუნის წინათ

სიმსუქნე ჯანმრთელობას როდი ნიშნავს

ალან ფრომი: ანბანი მშობლებისათვის

არსებობს თუ არა სქესობრივი შეუთავსებლობა?

ვლადიმერ ნაბოკოვი „შობა"

სახარება ყმაწვილთათვის

ემანსიპაციის უკიდურესობანი

სიყვარული ქმნის სასწაულებს

ხელსაქმე...

კულინარია



# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 1993

# მამლის წელიწადი

მკაცრი წელიწადია. ყველამ უნდა იშრომოს, რათა საკუთარი ცხოვრება უზრუნველყოს. იქნება უმუშევრობა. უშრომლად ფულს ვერავინ იშოვის. მამალს არ უყვარს უწესრიგობა. მოსალოდნელია რეაქცია და სამხედრო რეჟიმები წესრიგის დასამყარებლად.

### როგორია მამლის წელს დაბადებული ადამიანი

უყვარს, როცა გამორჩეულია და იმგვარადაც იცვამს, სხვებისთვისაც შესამჩნევი იყოს.

მამალი ფრთხილი არ არის, თუ საქმე მოითხოვს, გულადი და მამაცია.

მამალი გამრჯეა. სურს იმაზე მეტი გააკეთოს, ვიდრე შეუძლია. ზოგჯერ ისეთ საქმეებს ჰკიდებს ხელს, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება. წარუმატებლობას კი მწვავედ განიცდის. ბუნებით მფლანგველია, რასაც შოულობს, ყველაფერს ხარჯავს. მის ცხოვრებაში არც თუ იშვიათია ფინანსური კრახი.

მამალს სიცოცხლის სამივე ფაზაში ელოდება სიღარიბეცა და სიმდიდრეც, იდეალური სიყვარულიც და მისი ყველაზე ცუდი გამოვლინებაც, დაცემაცა და აღზევებაც მაგრამ სიბერე ბედნიერი ექნება.

### როგორი იქნება მამლის წელიწადი სხვა ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის

**ვირთხა** ამ წელიწადს მხოლოდ მოლხენაზე ფიქრობს. საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები ნაკლებად აინტერესებს. მისთვის ყველაფერი კარგად მიდის.

**ხარს** შეუძლია მშვიდად იყოს. ამ წელიწადს მას უბრუნდება საკუთარი თავის რწმენა და სამუშაო.

**ვეფხვი** გულგატეხილია, ეს წელიწადი მისთვის ნამდვილად ამბოხების წელია. ის მაინც ბრძოლას გააგრძელებს.

**კატას** ეს წელი აღიზიანებს და ყველაფერი სასაცილოდ მიაჩნია. ბუნებით ანცია და ეს წელი მისთვის ცუდია.

**დრაკონი** როგორც ყოველთვის, ახლაც გამონახავს თავის გამოჩენის საშუალებას, მაგრამ უფრო თავშეკავებულად.

**გველისთვის** მკაცრი წელიწადია. ზარმაცია და გადარჩენისთვის თავს ძალა უნდა დაატანოს. ხშირად უიმედობა ეუფლება.

**ცხენს** ზურგი გამაგრებული აქვს. გაბედულად შეუძლია მოჰკიდოს საქმეს ხელი. ყველაფერი აეწყობა.

**თხა** უარს ამბობს მუშაობაზე. ბოჰემურად იცხოვრებს. ოცნებობს ასეთი დღეების გაგრძელებაზე.

**მაიმუნის** წელი ჩათავდა. გარემოცვა ნაკლებად აინტერესებს, თუმცა მამლის მცდელობა ართობს.

**მამლისთვის** პერსპექტივაში კარგი წელიწადია. მას ამაღლებული საზეიმო განწყობილება აქვს. მაგრამ თავი რომ გაიტანოს, ბევრი შრომა მოუწევს. წელიწადი მკაცრია. საბედნიეროდ, ირგვლივ წესრიგი სუფევს.

**ძაღლისთვის** მძიმე წელიწადი იქნება. ვეფხვის მსგავსად გულგატეხილია, ფარულად განაგრძობს ბრძოლას.

**ღორი** მუშაობის წყალობით ბევრს შეიძენს. ყველაფერი კარგად გამოსდის, სიცოცხლე უხარია.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- მარიკა ხარათაშვილი
- ნაზი თარხანაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნაზი კილასონია
- ლაშა კიკალეიშვილი
- ზურა კვარაცხელია
- ნანული ცახარეიშვილი
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ზუკია

ჟურნალი გამოდის 1925 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".
მ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali"
Georgian Woman
a Magazine for Women of the Republic of Georgia

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურჯი და სიმბოლო რწმენისა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამოცი წლის გახდა.

ჟურნალი „საქართველოს ქალი" მისი მრავალრიცხოვანი მკითხველების, ავტორების, ყოველი ქართველი ქალის სახელით ულოცავს მის უწმინდესობას ამ ბრწყინვალე დღეს და უსურვებს ღვთის შეწევნით კვლავაც დიდხანს ედგეს ბურჯად ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, იმედად მის სამწყსოს — სრულიად საქართველოს. დაე, თქვენი ღვთაებრივი სიბრძნე და სიმშვიდე, თქვენი მადლით ფენილი სახე, თქვენი ზღვარდაუდებელი სიკეთე და, რაც მთავარია, მუხლჩაუხრელი ღვწა, რუდუნება, ლოცვა საქართველოსათვის, მისი მშვიდობის, კეთილდღეობის, რწმენის, აყვავებისათვის ყოველი ჩვენთაგანისათვის იყოს უმშვენიერესი სიმბოლო და ბურჯი რწმენისა, მაგალითი იმისა, თუ როგორ მიუახლოვდე ღმერთს.

ღმერთმა ინებოს ქართული ეკლესიისა და თქვენი დღეგძელობა!



ეროვნული ბიბლიოთეკა





# ზნეობის გაკვეთილი

იმ დილით, როცა თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებლები ადრიანად გავუდექით მცხეთისკენ მიმავალ გზას, არც ერთისთვის უთქვამს გუმანს, რომ ეს დღე ერთადერთი და გამორჩეული იქნებოდა თითოეული ჩვენთაგანის დღეთა სათვალავში.

მირიან მეფისა და ანა დედოფლის საფლავები რომ მოვინახულეთ, ივერიის ღვთისმშობელს რომ შევავედრეთ მისი წილხვედრი ქვეყანა და გზის გაგრძელებას ვაპირებდით, სწორედ ამ დროს სამთავროს ტაძარში შემობრძანდა უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, შემობრძანდა მარტოდმარტო. ეს იმდენად მოულოდნელი იყო არა მარტო ჩვენთვის, არამედ მონაზვნებისთვისაც, რომ ყველანი ადგილზე გავშეშდით. მერელა გაისმა ქრისტეს სასძლოთა წკრიალა ხმა და ზეცად ამაღლდა წმიდა მარიამის სადიდებელი გალობა, ის კი, „ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი“, იდგა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის წინაშე და ჩუმად ლოცულობდა. ლოცვა რომ დაამთავრა, ჩვენკენ შემობრუნდა, კურთხევა გვიბოძა და ისეთი უსათნოესი ღიმილით გაგვიღიმა, რომ მყისვე განქარდა ზღვარ-მანძილი მოძღვარსა და მრევლს შორის. როდესაც გაიგო, რომ მასწავლებლები ვიყავით, თავისი მოწაფეობისა და სტუდენტობის წლები გაიხსენა. იმ პედაგოგებს ემადლიერებოდა, რომელნიც მხოლოდ საგნისა კი არა, სიკეთის სიყვარულსაც უნერგავდნენ აღსაზრდელს. ჩვენც გვთხოვა, უწინარეს ყოვლისა სიკეთე ასწავლეთო მოზარდებს, პატიება, შემწყნარებლობა, მიმტევებლობა. კლასში რომ შეხვალთ, მაშინვე გაკვეთილის ახსნას კი ნუ შეუდგებით, ბავშვებს ჯერ გული გაუთბეთო ნდობითა და სიყვარულით, ყმაწვილები რომ წაიკინკლავებენ, შეურიგებლად ნუ გაუშვებთო სახლში, ორიანებსაც ნუ დაწერთო მაინცდამაინც, — დაუმატა თავისი განუმეორებელი ღიმილით.

ეს იყო ჭეშმარიტად ზნეკეთილობის გაკვეთილი და ჩვენ, ცოდვილნი, რომელთაც ბევრზე ბევრი რამ გვენიშნა მისი შეგონებებიდან, მოკრძალებით ვიდექით დიდი მოძღვრის წინაშე და ვგრძნობდით, როგორ გადმოდიოდა ჩვენზედ მადლი ღვთისა.

პარაკლისს როგორ არ დავესწრებივართ ხალხით გაჭედილ სიონსა თუ სვეტიცხოველში, მაგრამ ის სულ სხვა იყო, ღვთისმშობლის სადიდებლად გადახდილი სამთავროს ტაძარში.

ეს დღე იმითაც იყო გამორჩეული, რომ ღმერთმა ინება იღუმენიის არჩევის მოწმენი გავმხდარიყავით. სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს ღირსეული ღირსეულთა შორის დედა ქეთევანი. როგორც უწმინდესმა და უნეტარესმა გაგვაცნო, მონაზვნად აღკვეცამდე იგი ჩვენი კოლეგა ყოფილა — ფილოლოგი, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული.

ილოცე ჩვენი ახალგაზრდობის სულის გადარჩენისთვის, ერთო ჩვენთაგანო და ჩვენზედ ამაღლებულო დედაო ქეთევან!

**ევგენია სახუგაშვილი,**
თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

2

ზაირა რთველაძე-მამულაშვილი ტიპიური ქართველი ქალია — სულით, გულით, საქმით, მრწამსით. ზაფხულობით იმერელ ბებიასთან იყო, დანარჩენ დროს თბილისელ ბებიას ჰყავდა კალთაზე გამობმული. მისი სიყვარული ბებიების მიმართ იმით აიხსნება, რომ ორივე მოხუცი სათნო და ღვთისმოსავი იყო. ბებიას კუკიაზე, წმინდა ნინოს ტაძარში დაჰყავდა შვილიშვილი. მოხუცს წერა უჭირდა და გოგონა ლოცვებსა და წმინდანთა ცხოვრებას ლამაზად გადაუწერდა ხოლმე.

ქალბატონი ზაირა ახლა თვითონაა ბებია, მის ორ შვილს — ინგას და გიორგის უკვე შვილები ჰყავთ.

გიორგის მეუღლე, ეკა გოგორელიანი, რაჭიდან, სოფელ კვირიკეწმინდიდანაა. მისმა მშობლებმა მძახლები რაჭაში მიიწვიეს და სოფლის სალოცავში, წმიდა კვირიკეში ტრადიციული პურ-მარილი გაშალეს. ეკლესიის გასაღები ლაშხებს ებარათ. ეს ის ლაშხები იყვნენ, რომელთა წინაპარმაც მაცხოვრის ხატი და საზარება ცეცხლში ჩააგდო. შემდეგ ისინი საოცრად დაისაჯნენ. ახლა შვილები — ნანული და ივანე მოწიწებით ემსახურებოდნენ ტაძარს და სანთელ-საკმეველს არ აკლებდნენ.

...ნანული ლაშხმა ეკლესიის კარი გააღო და ნესტიან, ბაზილიკურ სამლოცველოში შეუძღვა სტუმარს. ჭერიდან ბათქაში ცვიოდა. მხოლოდ ერთი პატარა კუთხეღა იყო დაუზიანებელი. თუ არა ვინმე ღვთისნიერის ხელი, მალე ჭერი ჩამოიქცეოდა.

ქალბატონმა ზაირამ სანთელი აანთო, მუხლი მოიყარა და თავისდაუნებურად ხმამაღლა წარმოთქვა: „ღმერთო, შენმა ძალამ შემაძლებინოს ამ სალოცავის გადახურვა!“ — მერე თვითონვე გაუკვირდა, ეს რამ მათქმევინა, ან მე რა შემიძლიაო. რაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქველმოქმედება

# შეწევნით ღვთისა

ღვთის წინაშე აღთქმა დადო, შესრულებაზედაც დაიწყო ზრუნვა.

თბილისში დაბრუნებულს მეუღლემ და და-ძმებმა ფული შეუგროვეს, მძახლებიც დაეხმარნენ და მომავალ კვირას საკუთარი შანდალი და სიონში ნაყიდი სანთლები წაიღო კვირიკეწმინდაში.

სოფლის მოსახლეობა გვერდით ამოუდგა სტუმარს და ყველამ ერთად დაიწყო ზრუნვა ეკლესიის აღსადგენად. ქალბატონი ზაირა ენერგიით აღავსო წმინდა ნინოს სიზმრად გამოცხადებამ. რომელმაც უთხრა: ეს ყოველივე დაგავალეს და ნუ შეშინდები, ვისი დახმარებაც დაგჭირდება, ყველა შენთან მოვაო. იგი იმ ხანად ბალნეოლოგიურ კურორტში მუშაობდა. მართლაც, ერთი თვის შემდეგ მასთან მივიდა ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც მარჯვენა ხელს ვერ ამოძრავებდა. მკურნალობით ტკივილები მოეხსნა და მკურნალს უთხრა, რა დაგიხატო? — რაჭაში ეკლესიას აღვადგენთ და იმისათვის რომელიმე წმინდანი დამიხატეო. ახალგაზრდამ ბრწყინვალედ შესრულებული მაცხოვრის ხატი მიართვა და თან ხატმწერი გააცნო, რომელმაც ახალი ხატები მოუტანა, ქალბატონი ზაირა თანდათანობით იხდიდა ამ ხატების ფულს. ღვთისმშობლის დიდი ხატი კი მისმა ძმამ, ჯემალ რთველაძემ შეიძინა ეკლესიისთვის. მეორე ძმამ, ნუგზარმა რკინის კარი შესწირა სალოცავს.

ზამთრის პირზე სვეტიცხოვლის მედავითნე დედა ნინო მკლავის მწვავე ტკივილებით მივიდა ბალნეოლოგიურში. ზაირამ წმინდა კვირიკეს შესახებ უამბო, ღვთისმსახურმა ახე აუხსნა: უფლის მადლი ყოფილა შენზედო და თვითონაც რაჭაში წასვლის სურვილი გამოთქვა.

ბარბარობა ღამეს ნანული ლაშხის დედას სიზმარი ენახა, ზეალ თქვენთან მლოცველი და მგალობელი მოვლენო. მეორე დღეს, თოვლსა და ყინვაში დედა ნინო და ქალბატონი ზაირა ღვთის იმედით მიიკვლევდნენ გზას კვირიკეწმინდისკენ, თან ლადლადა მიზაკები და მეუფე კონსტანტინეს ნაჩუქარი თაფლის სანთელი მიჰქონდათ.

შემდეგ ქალბატონმა ზაირამ გაიცნო ისეთი ხალხი, რომლებიც თვითონვე გამოთქვამდნენ სურვილს მონაწილეობა მიეღოთ ეკლესიის აღდგენაში: ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ დავით აღმაშენებლის ფონდიდან ორი ათასი მანეთი გადაურიცხა, ქიმიკოსმა სოსო ცინცაძემ საკუთარი მეთოდით დამუშავებული თორმეტი ტონა შესალესი მასალა გადასცა, ხელოსანი ჯუმბერ სულიაშვილი თვითონ წავიდა რაჭაში ეკლესიის აღსადგენად.

კვირიკობის დღესასწაული 28 ივლისსაა, მორწმუნეებმა ყველაფერი იღონეს, რათა ამ დღისთვის ეკლესია ხატებითა და ხალიჩებით დამშვენებული ყოფილიყო. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ასი ჯვარი და სამი კილოგრამი სანთელი გაატანა ზაირას დღესასწაულზე დასარიგებლად.

იზეიმა სოფელმა...

მთიდან მთაზე გადადიოდა ეკლესიის ზარების გუგუნი. მაგრამ ზარაჩოები ჯერ კიდევ ჩამოხსნილი არ იყო, რაჭაში ძლიერი მიწისძვრა რომ მოხდა.

ქალბატონი ზაირა მეორე დღესვე იქ გაჩნდა.

— კარები რის ვაივაგლახით გავაღე და, როგორც იქნა, მოვახერხე ქვების გროვაში შეძრომა, სულ არ შემშინებია, ვიცოდი, არაფერი მომივიდოდა, ხატები მყავდა გამოსაბრძანებელი... და, წარმოიდგინეთ, არცერთი ხატი არ დაზიანებულა, — ჰყვებოდა ზაირა.

ახლა ზაირამ სოფლის დახმარებით თავიდან დაიწყო ეკლესიის აღდგენა.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი დედა-ქალები!

**ნანა დავითაშვილი**

# სიყვარული უბედურების ჟამს

მსოფლიოში 350 ათასი ადამიანია შიდსით დაავადებული, 10 მილიონი ვირუსის მატარებელი. 2000 წლისთვის კი სასიკვდილოდ განწირულ ადამიანთა რიცხვი 40 მილიონს მიაღწევს. ამიტომ მშვიდობით, აღვირახსნილო ვნებანო, გაუმარჯოს მოსაწყენ რაციონალიზმს!

შეიცვალა თუ არა სიყვარულისადმი დამოკიდებულება ამ უაზრო სიტუაციისას? იტალიური ჟურნალი „ეპოკა" აქვეყნებს 18-24 წლამდე ახალგაზრდა იტალიელების გამოკითხვის შედეგებს. პასუხები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

„ნაკლებად ეროტიული", მაგრამ „მეტად რომანტიული", — ასეთი პასუხები გასცეს გამოკითხულთა 20, 6 და 12, 7 პროცენტმა. ამას გარდა, ერთი მხრივ, სიყვარული გახდა „ნაკლებად ლამაზი" (24, 3), „მეტად ერთფეროვანი" (16, 6) „მეტად პურიტანული" (8, 3) მეორე მხრივ კი— „მეტად ცინიკური" (8, 7), „მეტად ბიწიერი" (7, 7) „ნაკლებად დაკავშირებული ცრურწმენებთან" (6,6).

რადგანაც შესაძლებელია კოცნისას,შიდსის ვირუსის ნერწყვით გადაცემაც, იტალიელებს ასეთი შეკითხვაც დაუსვეს: „შეიძლება თუ არა სიყვარული კოცნის გარეშე"? უარყოფითი პასუხი გასცა გამოკითხულთა 56, 5 პროცენტმა.

„თუ გავიგებ, რომ ვირუსის მატარებელი ვარ, გამოვტყდები თუ არა?" — „შევატყობინებ ახლობლებს", — უპასუხა 71, 1 პროცენტმა. „არავის დავუმალავ," — განაცხადა 16,6 პროცენტმა. მხოლოდ 5,6 პროცენტი გამოტყდა, რომ „არავის ეტყვის".

ყველაზე განსაცვიფრებელი პასუხი მიიღეს კითხვაზე: „როგორ მოიქცევი, თუ გაგებ, რომ შენი მუდმივი პარტნიორი შიდსის ვირუსის მატარებელია?" ამ კითხვაზე მხოლოდ 5, 9 პროცენტმა განაცხადა, რომ გაწყვეტს კავშირს. უდიდესმა უმრავლესობამ (68, 3) ჩათვალა, რომ უმჯობესია ერთად ყოფნა და თანაც სოლიდარობის გამო ისინი უარს იტყვიან სქესობრივი კავშირის დროს დამცავ საშუალებებზე. 17, 8 პროცენტმა განაცხადა, რომ კავშირს არ გაწყვეტენ, ოღონდ გამოიყენებენ დამცავ საშუალებებს.



F-6146
საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე სიყვარულით იწყება

# დედაშვილური სიყვარული



ახალშობილისათვის დედა ყველაფერია: საკვები, სითბო, სიამე, ნუგეში და იმედი. ზრდასთან ერთად ჩვილი აღმოაჩენს, რომ დედას იგი უყვარს.

დედობრივი სიყვარული უპირობო და უანგაროა. მას ვერ შექმნი, ვერ დაიმსახურებ, ის ან არის — და მაშინ უზენაესი ნეტარებაა, ან არა, — და მაშინ ბავშვობა უსიხარულოდ ჩაივლის...

პატარას თავიდან არ ძალუძს სიყვარული, იგი მადლიერებითა და სიხარულით შეიწყნარებს დედის მისდამი სიყვარულს, მაგრამ, ზრდასთან ერთად, თანდათანობით ჩნდება მოთხოვნილება სიყვარულის „შექმნისა“, მისი დამსახურებისა.

აქედან მოყოლებული, მოზარდის ემოციურ სამყაროში ქცევის ახალი მოტივი იჭრება, მას უჩნდება სიყვარულის გამოწვევის სურვილი. აქამდე, მისთვის ჩვეული ეგოისტური მოთხოვნილება — ყოფილიყო სხვისი სიყვარულით ნებიერი, იცვლება იმის მოთხოვნილებით, რომ თვითონ დაიმსახუროს სიყვარული, გაიღოს „სიყვარულის ხარკი“. დიდი დრო გაივლის მანამ, სანამ ამ პირველი ნაბიჯიდან ადამიანი ნამდვილ, ამაღლებულ სიყვარულამდე მიაღწევდეს, თანაც ან მიაღწევს, ან ვერა, მაგრამ თუ მიაღწია, დედობრივი სიყვარულის ვალს გადაიხდის, რითაც გადალახავს ეგოიზმს და მშობლივით უანგარო გახდება. მაშინ, სხვა ადამიანი ჩემი მიზნებისაგან დამოუკიდებლად შემიყვარდება, მისი მოთხოვნილებანი ჩემთვის საკუთარივით მნიშვნელოვანი გახდება. მაშინ გაცემა უფრო სასიამოვნო შეიქნება, ვიდრე მიღება. მაშინ მე „ახალი ერთიანობის“ საზრისს მივხვდები, სხვის მიმართ გავიხსნები და მასთან გავმთლიანდები, რაც მე სულიერად გამამდიდრებს და უკეთ დამანახვებს საკუთარი არსებობის აზრსა და დანიშნულებას. მაშინ შეიცვლება უმწიფარი სიყვარულის ფორმულა: — „მიყვარს იმიტომ, რომ ვუყვარვარ“, ფორმულით: „ვუყვარვარ, იმიტომ, რომ მიყვარს“, ანდა „მიყვარხარ, რადგან მჭირდები“ კი არა, „მჭირდები, რადგან მიყვარხარ“. აი ადამიანური სიყვარულის რა სამომავლო შესაძლებლობები იმალება დედობრივ სიყვარულში.

მაგრამ საამისოდ მხოლოდ ინსტინქტურ-დედობრივი სიყვარული არ არის საკმარისი. გარდა ზრდა-განვითარებაზე ზრუნვისა, დედამ შვილს სიცოცხლის სიყვარულიც უნდა ჩაუნერგოს. მოზარდი თავისი არსებობით უნდა იყოს გაოცებული და კმაყოფილი: რა კარგია, რომ თენდება და მზე ამოდის! რა კარგია, რომ ცოცხალი ვარ და ვიზრდები! რა კარგია, რომ გოგო ვარ და მალე ქალიშვილად გადავიქცევი! ბიჭად რომ დავიბადე და თანდათანობით ვვაჟკაცდები! დედამ მხოლოდ რძით კი არ უნდა გამოზარდოს, თაფლის გემოც უნდა გაასინჯოს და საკუთარი არსებობით უნდა დაატკბოს თავისი პირმშო, ხოლო ეს რომ შეძლოს, თვითონაც თაფლი უნდა ჰქონდეს ნაჭამი ბავშვობაში, თვითონაც ბედნიერი და სიყვარულით გამთბარი უნდა იყოს თავის ცხოვრებასა და დედობაში.

დედაშვილობა ჩასახვით იწყება და დედის წიაღში მათ სისხლის მიმოქცევა აერთიანებთ. დაბადების შემდეგ, შვილი ძუძუთი უკავშირდება დედას და გამაერთიანებელი დედის რძეა. ფეხის ადგმის შემდეგ, ბავშვი კალთაში იზრდება და გამაერთიანებელი დედის სხეულის სითბოა. ზრდასთან ერთად, შვილი ხელს უშვებს დედის კალთას და მათ შორის სულიერი ერთიანობა, სიყვარული მყარდება.

აქამდე დედაშვილური სიყვარული ცალმხრივი იყო: დედის მხრიდან უანგარო, შვილის მხრიდან — ეგოისტური. დედა ყველაფერს იძლეოდა, შვილი ყველაფერს ღებულობდა. ახლა დგება დრო, როდესაც დედამ შვილს საკუთარი თავისა და გარემოს სიყვარული უნდა ასწავლოს. სწორედ ეს არის „თაფლი“ — მათი სიყვარულით გამაერთიანებელი სულიერი ძალა.

მაგრამ დადგება ჭეშმარიტი დედაშვილური სიყვარულის გამოცდის ხანაც — ერთმანეთს უნდა დაშორდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. შვილმა საკუთარი ოჯახი უნდა შექმნას, რისთვისაც დედამ უნდა დათმოს საკუთარი სისხლით, რძით, სითბოთი და სიყვარულით გამოზრდილი შვილი; უნდა დათმოს და თან მისი სიყვარული თავისთვის დაიტოვოს. ვინც ამას მოახერხებს, სწორედ ის მოიხდის ბოლომდე დედაშვილურ ვალს.

რძეს ცხოველიც აძლევს თავის ნაშიერს. თაფლს — მხოლოდ ის დედა, ვისაც აქვს, თუ თვითონ მიიღო თავისივე დედისაგან. რაც შეეხება ვალის გადახდას, ეს ყველაზე უფრო ძნელი რამ არის, ეს ვალი დედისაა, გამოყოლილი, ყველა დედამ თავისი დედის ვალი უნდა გადაიხადოს. ასე რომ, ვალში შვილია დედის წინაშე და არა — პირიქით.

ერთი სიტყვით, ერთ დროს სისხლით, რძითა და თაფლით გამთლიანებული დედაშვილური სიყვარული უნდა გაიყოს, რათა შვილი ცოლქმრული სიყვარულით შეუერთდეს დედისათვის სრულიად უცხო ადამიანს. დედამ უნდა დათმოს თავისი წილი სიყვარული, შვილის მომავალი სიყვარულის სასარგებლოდ. დედის სიყვარული მსხვერპლად უნდა შეეწიროს შვილის მომავალ ბედნიერებას.

სამწუხაროდ, დედათა უმრავლესობა ვერ ახერხებს ამ რთული ამოცანის გადაწყვეტას, რის გამოც მუდმივ სასჯელად ელით დამამცირებელი, მტანჯავი, წვრილმანი, შეურაცხმყოფელი და გაუთავებელი დავა რძალთან, სიძესთან და მათ იგივე მიზეზით დასჯილ მშობლებთან. ამ ურთულესი ვითარებიდან გამარჯვებული მხოლოდ ის დედა გამოვა, ვინც წინასწარ ელოდება და უკვე მზადაა ამ გამოცდისათვის, და უპირატესად ის, ვისაც შეუძლია ნამდვილი სიყვარული არა მხოლოდ საკუთარი შვილების, ქმრისა თუ ახლობლებისა, არამედ სხვისიც, საერთოდ ადამიანის, სიყვარული კეთილი ნების, კეთილი მიზნის.

დასასრულს მოვუსმინოთ ილიას სიმართლეს, რომლითაც ოთარაანთ ქვრივი საკუთარ გულს ეჩურჩულება: „მე დედა ვარ და წარმავალი. ის შვილია და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ აეფარები. არა, შვილო! შენ გაიხარე, შენ!... მე კი... მე ჩემისად მაყურებელ თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლით-ღა ვივლი და ვიცოცხლებ"...

**თენგიზ აბრამიშვილი**
ექიმი-ფსიქიატრი

# ქალი პრესაში საუკუნის წინათ




## ქალის მდიდარი კაბა

[illegible]

„ივერია", 1886 წ. 15 ნოემბერი

## ქალების გასაფრთხილებლად!

ფოტოგრაფებს მოუგონიათ ერთგვარი საფოტოგრაფო მანქანა, რომელიც ერთ წამს იღებს მთელი ქუჩის, სახლების, ბულვარის და ბულვარზე მოსეირნე ხალხის სურათს. ფოტოგრაფებმა, რასაკვირველია, არ იციან, რომ ბევრი იქნება ძალიან მადლობელი არ გახდება ამისთანა ხაშხაშურისათვის და ძალიან ეწყინოს კიდეც. მაგალითად, საფოტოგრაფო დუქნის წინ დადგა ერთი ხანში შესული ქალი, დააცქერდა ერთ სურათს. ამ სურათზე გადაღებული იყო მთელი ბულვარის შტრასეს ქუჩა მოსეირნე ხალხით, დედამ სურათზე თავისი ქალი იცნო, ვისაც ვიღაც ყმაწვილ კაცს ელაპარაკებოდა! ხანში შესული ქალი საფოტოგრაფოში შევიდა და იყიდა სურათი. ნახევარი საათის შემდეგ დაუწყო გამოკითხვა თავის ქალს, ვინ იყო შენ იქ.

— მე ნამდვილად ვიცი, რომ შენი და შენი მუსიკის მასწავლებელი ერთად გადაგიღიათ.

ქალმა თავს იქნევს და „არას" იძახის.

დედამ ჯიბიდან ამოიღო, ამოიღო ფოტოგრაფიული სურათი და აჩვენა ქალს. ქალმა დახედა სურათს, წამოწითლდა და თავი ჩაღუნა. იმავ დღეს მუსიკის მასწავლებელი დაითხოვეს.

„ივერია", 1887 წ. 24 თებერვალი.

## როლები შეეცვალათ

ერთ ვიღაც კაცს მუნჯი ცოლი ჰყავდა და ამიტომ ძალიან ტკბილად და თანხმობით ცხოვრობდნენ ცოლ-ქმარნი. ერთხელ, როცა ქმარი შინ არ იყო, სახლს ცეცხლი წაეკიდა. ცოლს ისე შეეშინდა, რომ შიშისაგან ენა ამოიდგა და ლაპარაკი დაიწყო. როცა ქმარი დაბრუნდა სახლში, ცოლი მიეგება და სიხარულით უთხრა: „ენა ამოვიდგი, ენა ამოვიდგიო". ამის გაგონებაზე ქმარს ისე შეეშინდა, რომ მაშინვე ენა ჩაუვარდა და დამუნჯდა შიშისაგან.

„ივერია", 1887 წ. 29 მარტი.

* * *

ერთმა მექსიკელმა ქალმა, მარიამ პრიეტომ, როგორც ფრანგული გაზეთი „ტემპ-ი" იუწყება, 15 წლის განმავლობაში (1880 — 1895 წ. წ.) შვიდჯერ მოახერხა გათხოვება, ამერიკაში, საზოგადოდ, მრავალი ქალია, რომელიც შვიდჯერ კი არა, ათჯერ და თორმეტჯერ ახერხებს გათხოვებას. ამიტომ პრიეტოს შვიდჯერ გათხოვება საკვირველი არ არის. საყურადღებო ის არის, რომ პრიეტოს შვიდივე ქმარი ტრაგიკული სიკვდილით გამოესალმნენ წუთისოფელს. პირველი ქმარი, ჟოზე კასალა, ორი წლის შეუღლების შემდეგ ვაგონიდან გადმოვარდა და იქვე სული განუტევა; მეორემ — მანუილ გარნიხმა, რვა თვის შემდეგ თავი მოიკლა; მესამე, ხოლმუტი, მაღაროში მუშაობის დროს დაიღუპა. ხოლმუტი ცოლთან ხუთი კვირა ცხოვრობდა მხოლოდ; მეოთხემ, ვილაც ვილიამ სტორემ, ექვსი თვის შემდეგ თავი მოიკლა; ხოლო მეხუთე, ჟორჟ პუტერი მოკლულ იქნა ნადირობის დროს; მეექვსემ, ხიმ კამპელმ, ორი თვის შემდეგ ტყეში ზე დაეცა და სიცოცხლე მოუსპო, უკანასკნელმა, მეშვიდემ, რიჩ კასტილომ, ერთი თვის შემდეგ თავი დაიღრჩო. ეს უიღბლო (ვინ იცის, შეიძლება იღბლიანიც იყოს) ქალი მეტად ლამაზი რამ ყოფილა. მეშვიდე ქმრის სიკვდილის შემდეგ მრავალი მთხოვნელი აღმოჩენია, მაგრამ ქალს ყველასათვის გამოუცხადებია, აღარა მსურს სიცოცხლე მამაკაცების ცოდვაში ჩავდგე და ამიტომ აღარა ვთხოვდები.

„ივერია", 1899 წ. 18 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლი სიყვარულით იწყება

# დედაშვილური სიყვარული



ახალშობილისათვის დედა ყველაფერია: საკვები, სითბო, სიამე, ნუგეში და იმედი. ზრდასთან ერთად ჩვილი აღმოაჩენს, რომ დედას იგი უყვარს.

დედობრივი სიყვარული უპირობო და უანგაროა. მას ვერ შექმნი, ვერ დაიმსახურებ, ის ან არის — და მაშინ უზენაესი ნეტარებაა, ან არა, — და მაშინ ბავშვობა უსიხარულოდ ჩაივლის...

პატარას თავიდან არ ძალუძს სიყვარული, იგი მადლიერებითა და სიხარულით შეიწყნარებს დედის მისდამი სიყვარულს, მაგრამ, ზრდასთან ერთად, თანდათანობით ჩნდება მოთხოვნილება სიყვარულის „შექმნისა", მისი დამსახურებისა.

აქედან მოყოლებული, მოზარდის ემოციურ სამყაროში ქცევის ახალი მოტივი იჭრება, მას უჩნდება სიყვარულის გამოწვევის სურვილი. აქამდე, მისთვის ჩვეული ეგოისტური მოთხოვნილება — ყოფილიყო სხვისი სიყვარულით ნებიერი, იცვლება იმის მოთხოვნილებით, რომ თვითონ დაიმსახუროს სიყვარული, გაიღოს „სიყვარულის ხარკი". დიდი დრო გაივლის მანამ, სანამ ამ პირველი ნაბიჯიდან ადამიანი ნამდვილ, ამაღლებულ სიყვარულამდე მიაღწევდეს, თანაც ან მიაღწევს, ან ვერა, მაგრამ თუ მიაღწია, დედობრივი სიყვარულის ვალს გადაიხდის, რითაც გადალახავს ეგოიზმს და მშობლიურად უანგარო გახდება. მაშინ, სხვა ადამიანი ჩემი მიზნებისაგან დამოუკიდებლად შემიყვარდება, მისი მოთხოვნილებანი ჩემთვის საკუთარივით მნიშვნელოვანი გახდება. მაშინ გაცემა უფრო სასიამოვნო შეიქნება, ვიდრე მიღება. მაშინ მე „ახალი ერთიანობის" საზრისს მივხვდები, სხვის მიმართ გავიხსნები და მასთან გავმთლიანდები, რაც მე სულიერად გამამდიდრებს და უკეთ დამანახვებს საკუთარი არსებობის აზრსა და დანიშნულებას. მაშინ შეიცვლება უმწიფარი სიყვარულის ფორმულა: — „მიყვარს იმიტომ, რომ ვუყვარვარ", ფორმულით: „ვუყვარვარ, იმიტომ, რომ მიყვარს", ანდა „მიყვარხარ, რადგან მჭირდები" კი არა, „მჭირდები, რადგან მიყვარხარ". აი ადამიანური სიყვარულის რა სამომავლო შესაძლებლობები იმალება დედობრივ სიყვარულში.

მაგრამ საამისოდ მხოლოდ ინსტინქტურ-დედობრივი სიყვარული არ არის საკმარისი. გარდა ზრდა-განვითარებაზე ზრუნვისა, დედამ შვილს სიცოცხლის სიყვარულიც უნდა ჩაუნერგოს. მოზარდი თავისი არსებობით უნდა იყოს გაოცებული და კმაყოფილი: რა კარგია, რომ თენდება და მზე ამოდის! რა კარგია, რომ ცოცხალი ვარ და ვიზრდები! რა კარგია, რომ გოგო ვარ და მალე ქალიშვილად გადავიქცევი! ბიჭად რომ დავიბადე და თანდათანობით ვვაჟკაცდები! დედამ მხოლოდ რძით კი არ უნდა გამოზარდოს, თაფლის გემოც უნდა გაასინჯოს და საკუთარი არსებობით უნდა დაატკბოს თავისი პირმშო, ხოლო ეს რომ შეძლოს, თვითონაც თაფლი უნდა ჰქონდეს ნაჭამი ბავშვობაში, თვითონაც ბედნიერი და სიყვარულით გამთბარი უნდა იყოს თავის ცხოვრებასა და დედობაში.

დედაშვილობა ჩასახვით იწყება და დედის წიაღში მათ სისხლის მიმოქცევა აერთიანებთ. დაბადების შემდეგ, შვილი ძუძუთი უკავშირდება დედას და გამაერთიანებელი დედის რძეა. ფეხის ადგმის შემდეგ, ბავშვი კალთაში იზრდება და გამაერთიანებელი დედის სხეულის სითბოა. ზრდასთან ერთად, შვილი ხელს უშვებს დედის კალთას და მათ შორის სულიერი ერთიანობა, სიყვარული მყარდება.

აქამდე დედაშვილური სიყვარული ცალმხრივი იყო: დედის მხრიდან უანგარო, შვილის მხრიდან — ეგოისტური. დედა ყველაფერს იძლეოდა, შვილი ყველაფერს ღებულობდა. ახლა დგება დრო, როდესაც დედამ შვილს საკუთარი თავისა და გარემოს სიყვარული უნდა ასწავლოს. სწორედ ეს არის „თაფლი" — მათი სიყვარულით გამაერთიანებელი სულიერი ძალა.

მაგრამ დადგება ჭეშმარიტი დედაშვილური სიყვარულის გამოცდის ხანაც — ერთმანეთს უნდა დაშორდ-

## საქმენი საგმირონი

# არწივები



გია ყარყარაშვილი

დედას ორი შვილი ჰყავდა, ერთი-ლა დარჩა. ისინი ჯერ სამაჩაბლოში იბრძოდნენ, მერე აფხაზეთში. კვლავ აფხაზეთშია გია ყარყარაშვილი, „თეთრი არწივის" ცნობილი მეთაური, ამჟამად სწრაფი რეაგირების კორპუსის გვარდიის სარდალი, 26 წლის გენერალი, აღარაა გოჩა ყარყარაშვილი, „თეთრი არწივის" მეთაურის მოადგილე, 27 წლის პოლკოვნიკი.

ოჯახი თბილისის გარეუბანში ცხოვრობდა. დედა შვილებს ფიცულობდა, ბიჭები — ერთმანეთს. გოჩას ისე უყვარდა გია, ბავშვობაში მის დანაშაულს იბრალებდა.

გოჩა ჯარში წავიდა. გიამ თბილისის საარტილერიო სკოლა დაამთავრა და გერმანიაში მსახურობდა. საქართველოში რომ გადმოიყვანეს, ეროვნული მოძრაობა ზვირთდებოდა. გიამ და ქართველმა მებრძოლებმა მიატოვეს საბჭოთა არმიის რიგები და ზემო იმერეთს შეაფარეს თავი.

აქ ეწვია სიყვარული — ერთის ნახვით. იარაღასხმული გია თავიდან მკაცრი ეჩვენა თათიას. თურმე როგორ ცდებოდა! რამდენადაც ბრძოლაში მედგარია გია, იმდენად თბილი და ალერსიანი მეუღლესთან. თათია ელოდება მის დაბრუნებას. ოჯახის გამრავლებას...

გია ყარყარაშვილმა მაშინ გაითქვა სახელი, სამაჩაბლოს ქართული სოფლები რომ გაანთავისუფლეს და ცხინვალში შევიდნენ. სამწუხაროდ, ეს წარმატებითი სვლა აღარ განვითარდა... მიზეზთა და მიზეზთა გამო.

აფხაზეთში რომ ბრძოლები გამწვავდა, გია თავისი მებრძოლებით განთიადთან იყო. გაუგონარი ტრაგედია მოხდა: ბიჭები დაუხოცეს. ძმა მოუკლეს, საოცნებო ქართული მიწა დაატოვებინეს.

— ახლა ძიების დრო არ არის, ომი დამთავრდება, ყველაფერი გაირკვევა, დამნაშავე გამოჩნდება, — სჯერა გიას.

„თეთრი არწივი" ყარყარაშვილების სახლში დაიბადა. სახელწოდე-

# დაიბადა

### წერილი მესამე

ბუნება განუწყვეტელი სრულყოფისა და განვითარების, ჰარმონიისა და განუმეორებლობის, გონიერულობისა და ექსპრესიის, მრავალფეროვნებისა და უსაზღვროების პრინციპებს ემყარება. ამ პრინციპთა შესაბამისად მიემართება (ან უნდა მიემართებოდეს), ბუნების ყოველი ცალკეული ქმნილების, ცალკეული არსების ცხოვრება· თუ თავად ამ ქმნილებებმა და არსებებმა არ ააცდინეს ერთმანეთი ბუნებაში მათთვის განკუთვნილ მისიებს, და რომ არც ერთი ქმნილება თუ არსება არ ასცდეს საკუთარ მისიას, საამისოდ აუცილებელია არ შევეწინააღმდეგოთ ბუნების კანონთა მოქმედებას, უგუნურად არ ჩავერიოთ ბუნების მოძრაობაში ადამიანს შეუძლია დაარბიოს ბუნების ტენდენციები. შეუძლია ისიც, რომ საკუთარ ნაშიერში, ბავშვი შეაფერხოს, მიმართულება უცვალოს, ჩაკლას ბუნების ამა თუ იმ ძალთა მოძრაობა, და ამას გააკეთებს არასწორი აღზრდის მეშვეობით.

ბუნების რა ტენდენციები მოძრაობს ბავშვში, რა განაპირობებს მის ბავშვობას?

პირველია სწრაფვა განვითარებისაკენ, რაც იწყება ჩასახვის პირველი დღიდანვე და გრძელდება თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში. თანდაყოლილ ძალთა განვითარება სიძნელეთა გადალახვით ხდება. ბავშვს არ შეუძლია არ განვითარდეს, და თუ უფროსთა გონივრული პედაგოგიური პროცესი ამ საქმეში არ დაეხმარება, თავად დაიწყებს გარეშემო სიძნელეების ძებნას. მაგრამ თუ გარემოში განვითარებისათვის შესაფერისი პირობები არ აღმოჩნდა? ან თუ უფროსებს არ ესმით განვითარებისათვის ხელშეწყობის აუცილებლობა? სამწუხაროდ, ხშირად სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე: მშობლები ბავშვებს დაუსრულებლივ რაღაცას უკრძალავენ, ხოლო სკოლაში დაუსრულებლივ აძალებენ· რატომ უნდა დავაძალოთ ბავშვს ისწავლოს, როცა თავად უნდა სწავლა, რადგან სწრაფვა შემეცნებისაკენ ბუნებით ბოძებული თვისებაა. ხშირი აკრძალვები და იძულება კი იმას იწვევს, რომ რაც ბავშვში თავისთავად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, არაბუნებრივი ხდება და უნდობლობისა და იძულების ვითარებაში იჩაგრება. რა შეიძლება მას შედეგად მოჰყვეს? ის, რომ გავა წლები, ბუნება ამოწურავს ამ კონკრეტულ ბავშვში თავისი განვითარების დროის ლიმიტს და ბუნებით ბოძებული შესაძლებლობები ბოლომდე არ განვითარდება, ან სულაც უდროოდ ჩაქრება.

მეორე ბუნებრივი ტენდენციაა სწრაფვა დიდობისაკენ· ბავშვს ეჩქარება დიდი გახდეს· ბავშვობა მაშინ მთავრდება, როცა დიდობის მოთხოვნილება ჩაქრება. ზოგს ეს მოთხოვნილება შეიძლება ადრეულ ასაკშიც ჩაუქრეს, თუკი ბავშვს თავიდანვე მოვახვევთ თავს უფროსების საზრუნავს, ზოგს კი — შეიძლება გაუხანგრძლივდეს· თუ მას ასეთი საზრუნავისაგან გავათავისუფლებთ· ბავშვის დიდობისაკენ სწრაფვას ადვილად შევამჩნევთ დიდობანას თამაშში. ბავშვი არასოდეს დაეთანხმება თანატოლებს განასახიეროს უფრო პატარას როლი, ვიდრე თვითონ არის. დიდობისაკენ სწრაფვას მოზარდებში უკვე სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იერიშზე მიდიან

ბაც აქ მოიგონეს. თავდაპირველად რაზმში სამოცი მებრძოლი იყო, უზაროდათ თეთრ არწივებს საქართველოს სამსახურში დგომა. ყოფილ პრეზიდენტთან განხეთქილების შემდეგ ოპოზიციაში გადავიდნენ. მერე იყო სამეგრელოს ტრაგედია და გიას დატყვევება.

დედ-მამა მზია კვაჭაძე და ნოდარ ყარყარაშვილი ზუგდიდში შვილს ეძებდნენ, მიტინგებს ფარულად ესწრებოდნენ. ესმოდათ, გამსახურდიას მომხრეები ყარყარაშვილის დასჯას რომ მოითხოვდნენ. ამ დროს გოჩა მებრძოლთა მცირე რაზმით ხობში იმყოფებოდა. რაზმის უსაფრთხოებისათვის არ გამოჩნდა, არ ჩააკითხა მშობლებს ზუგდიდში. თქვენი დალუპვა მერჩია ბიჭების დალუპვასო, — უთხრა დედას.

ასეთი ერთგული მებრძოლი მოუკლეს გიას, ჯერ მებრძოლი და მერე ძმა. თითოეული არწივის სიკვდილით სიცოცხლის ნაწილს კარგავს გენერალი. ძველები თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ. მადლობა ღმერთს, ახლები მოდიან, ვაჟკაცობას და თავგანწირვას ავლენენ, არწივები იერიშზე მიდიან... მაგრამ მკვდრებს ვინ გააცოცხლებს!

ძმები ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ტყვიას მკერდს ნუ უშვერო და აი, გოჩამ შეუშვირა, ან იქნებ ძმას აუშორა ხიფათი, წინ თავად გაიჭრა?!. მისი ცხედარი ორი კვირა ელოდა დატირებას.

ჯიუტობდა გენერალი — ჩეჩენ ტყვეში არ გავცვლიო ძმას. ვერ მოტეხეს. მერე მაინც მოახერხეს გოჩას ჩამოსვენება, თბილისის მზეს არ უნახავს მისი შვილი, თავაუხდელ სასახლეში იწვა ბრგე ვაჟკაცი.

— ცოლ-შვილი მაინც დარჩენოდა, — დარდობს დედა, — სახსოვრად იარაღი დაგვრჩა — ავტომატი — თეთრი არწივის გამოსახულებით, და დაბადების დღეზე ნაჩუქარი ხმალი.

თბილისს კი დარჩა გოჩა ყარყარაშვილის ქუჩა.

**ლია კაკაბაძე**



გოჩა ყარყარაშვილი ბავშვებთან



# ადამიანი

მრავალფეროვანი შინაარსი ეძლევაეს ტენდენცია მოზარდის ისეთ თვისებებში იჩენს თავს, როგორიცაა გაფაქიზებული თავმოყვარეობა, ზოგჯერ უხეშობა, საზოგადოებაში ადგილისა და აღიარების დამკვიდრება. რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ უფროსები ვერ დააკმაყოფილებენ და, მით უფრო, არ განავითარებენ მოზარდში დიდობისაკენ სწრაფვას? მოხდება ის, რაც ხშირად ხდება: მეტნაკლებად გამწვავებული კონფლიქტები და ასოციალურ ჯგუფებში მოხვედრა.

მესამე ტენდენცია თავისუფლებისაკენ სწრაფვაა. მოზარდს, არ უყვარს, როცა უფროსები რაიმეს აიძულებენ. „მე თვითონ" ჯერ კიდევ წლინახევრის ბავშვში იჩენს თავს. მოზარდებს ურჩევნიათ გაუგებრობას გადაეყარონ, ვიდრე უფროსთა გონივრულ დარიგებას დაჰყვნენ და დაემორჩილონ. ბავშვი, უფრო კი მოზარდი, ან გაურბის ვითარებებს, რომლებშიც მათი თავისუფლება ზედმეტად იზღუდება, ან, თუ სხვა გამოსავალი არ არის, ამ იძულებით ვითარებებში ცდილობს შეინარჩუნოს თავისუფლების განცდა. მოზარდთან მბრძანებლური პედაგოგიკით ფონს ვერ გავალთ. ან რად გვინდა მკაცრ მორჩილებაში ვიყოლიოთ იგი, თუკი ამ გზით მისი პიროვნების განვითარების პროცესს შევაფერხებთ და ხელოვნურად აღმოვაცენებთ მასში უარყოფით მოქმედებებს, რაც საბოლოო ჯამში ხასიათის თვისებად ჩამოყალიბდება.

მე აქ ბავშვში ბუნების სამი ტენდენცია დავასახელე. ბავშვი — მოზარდი თავის ყოველდღიურ ცხოვრება-საქმიანობაში ამ ტენდენციებს მიჰყვება, ბუნება მართავს მას მოიქცეს ამ ტენდენციათა საამებლად.

პედაგოგიური პროცესი, რომელიც ბავშვში ბუნების ტენდენციებს ანგარიშს არ გაუწევს, ამ ტენდენციათა შესაბამისად არ იმოქმედებს — მოზარდის აღზრდას დიდ სიკეთეს ვერ მოუტანს. ბავშვში ბუნების ტენდენციათა შეფერხება და უგულებელყოფა მდინარეებისათვის კალაპოტის შეცვლას ჰგავს.

ჩვენებური ავტორიტარული პედაგოგიური პროცესი ბავშვის ეკოლოგიის თვალსაზრისით მიუღებელი და საზიანოა; იგი ეწინააღმდეგება ბავშვში ბუნების განვითარებას, ცდილობს დაიმორჩილოს ბავშვში ბუნების ტენდენციები, ძალები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ეკოლოგიურად სუფთა პედაგოგიური პროცესის დამკვიდრებას. სხვანაირად მას ჰუმანური პედაგოგიური პროცესიც შეიძლება ვუწოდოთ. ჰუმანური პედაგოგიკის არსი ის კი არ არის, რომ ბავშვი თუ მოზარდი ალერსსა და სიყვარულში გავზარდოთ, არამედ ის, რომ მასში ბუნების მოძრაობას მაქსიმალურად ხელსაყრელი ვითარება შევუქმნათ.

ვშიშობ, რომ აქ გამოთქმული ზოგი მოსაზრება შეიძლება მკითხველმა გაიგოს როგორც ქადაგება იმისა, რომ ბავშვები ნებაზე მივუშვათ, მათ ცხოვრებაში არ ჩავერიოთ, რაღაცისკენ არ მოვუწოდოთ, არ დავარიგოთ და ა. შ. ამიტომ თავს ნებას მივცემ მომდევნო წერილში შემოგთავაზოთ ჰუმანური, ეკოლოგიურად სუფთა პედაგოგიური პროცესის ზოგიერთი რეკომენდაცია.

**შალვა ამონაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

რა შეკითხვები მეორდება ყველაზე ხშირად ბავშვთა კონსულტაციაში? პრობლემები წყლის წვეთებივით ჰგვანან ერთმანეთს. აი, რამდენიმე ტიპური შეკითხვა, რომლებიც უთუოდ ჩვენს მკითხველებსაც აინტერესებთ.

# სიმსუქნე ჯანმრთელობას როდი ნიშნავს

**— როგორ ვაიძულო ბებია, ბავშვი არ გაანებივროს ხშირად ხელში აყვანით და ზედმეტი მოფერებით.**

— ჩვენ ბავშვის მოფერების წინააღმდეგი როდი ვართ. მაშინ არ უნდა მოეფეროთ, როცა ტირის და ჭირვეულობს, თორემ თუ კარგად იქცევა, დიახაც უნდა მოეფეროთ და სურვილიც შეუსრულოთ. ბავშვი თქვენს ხელებში თავს საიმედოდ უნდა გრძნობდეს, ეს აუცილებელია მისი სწორად განვითარებისათვის.

ყურადსაღებია ისიც, თუ როგორ გიჭირავთ ბავშვი ხელში. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ბავშვის ხერხემალი საკუთარი მასის სიმძიმით არ გაიღუნოს. უკანასკნელ ხანებში დედები სულ პაწიებსაც ჯდომელა პოზაში ატარებენ. დედამ ბავშვი მკერდით მკერდზე უნდა მიიხუტოს, ხოლო ზურგი ხელის გულით საკმაოდ ღონივრად დაიჭიროს, რათა ბავშვის ხერხემალი სიმძიმისაგან განიტვირთოს.

ამიტომ 6 თვემდე ბავშვს დამჯდარ მდგომარეობაში ნუ ატარებთ.

ბებიებს მიეცით უფლება ხელში აიყვანოს და მოეფეროს ბავშვს, მაგრამ აუხსენით, რომ ნუ დაუთმობს ბავშვს და ნუ შეუსრულებს ყოველგვარ ჭირვეულობას. ბავშვი არ უნდა მიეჩვიოს აზრს, რომ მის ტირილსა და ისტერიკას წამსვე მოჰყვება სურვილთა შესრულება. პირიქით, მიუსადაგეთ სურვილთა შესრულება მის მოხაწონ საქციელს, ხოლო ცუდი ქცევისათვის დასაჯეთ, ცხადია არა ფიზიკურად, არამედ გულგრილობით, ხმის ინტონაციის შეცვლით, საყვარელი სათამაშოს გამორთმევით. წარმოიდგინეთ, იგი ყველაფერს ამას შესანიშნავად იგრძნობს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ბავშვის აღზრდა მისი დაბადების დღიდანვე იწყება. უნდა იმოქმედოთ მშვიდად, გულმოუსვლელად, მაგრამ მტკიცედ, თანმიმდევრულად.

**— გასაგებია, უფრო მკაცრად მოვექცევი.**

—მაგრამ ნურასოდეს აურევთ ერთმანეთში სიმკაცრესა და სიმტკიცეს. დატკბით მასთან კონტაქტით, მაგრამ აღზარდეთ გონივრულად, ალერსით, მშვიდად.

**— როგორი რეჟიმით ვკვებოთ?**

— ძირითადი საკვები ბავშვისათვის დედის რძეა. დღე-ღამეში 5-ჯერ თუ 6-ჯერ ითხოვს, შეიძლება დაუმატოთ ერთი კვებაც.

სადილამდე მიეცით ხილის წვენი. თუ საკმარისი რძე გაქვთ, ე. ი. ბავშვი ნორმალურად იმატებს, ასეთი კვება შეგიძლიათ განაგრძოთ ოთხი თვის ასაკამდე. ამ ასაკიდან წონაში მატება ცოტათი შემცირდება, დაახლოებით 150-200 გრამი კვირაში.

რკინის მარაგი, რაც დაბადებიდან დაჰყვება ბავშვს, მალე იხარჯება და საჭიროებს დამატებას, რაც ბოსტნეულის საშუალებით ხერხდება. ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს ბოსტნეული უფრო მეტად ესაჭიროებათ, რადგან ძროხის რძეში რკინა ბევრჯერ უფრო მცირეა, ვიდრე დედის რძეში. დღენაკლული ბავშვებიც უფრო ადრე საჭიროებენ ბოსტნეულს, რათა თავიდან ავიცილოთ სისხლნაკლებობა.

**— როგორ მოვუმზადოთ ბოსტნეული?**

— თუ სამყოფი რძე გაქვთ, მაშინ საკმარისია რამდენიმე ჩაის კოვზი ბოსტნეულის ხაუზმე. მცირე რაოდენობით წყალში იხარშება კარგად გაწმენდილი სტაფილო ან ყვავილოვანი კომბოსტო, კარტოფილი ან ისპანახი. დარბილების მერე მას ჩასრესენ საცერში, ან მიქსერში. უმატებენ ცოტა შაქარს. შესასქელებლად უმატებენ ერთ ჩაის კოვზ მოხალულ ფქვილს. ყოველივე ამას ხუთი წუთის განმავლობაში შუშავენ და კოვზით აძლევენ პატარას.

სასურველია გამოვიყენოთ სხვადასხვა ბოსტნეული. მაგრამ ერთ მიცემაზე რამდენიმე ახალი დასახელების ბოსტნეულს ნუ მისცემთ. ჯერ მიეცით, ვთქვათ, სტაფილო, ან კარტოფილი. როცა ბავშვი მიეჩვევა, მერე დაუმატეთ სხვა და ა. შ.

ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვს მეოთხე თვიდან აძლევენ ბოსტნეულის წვნიანს (სუპს).

დარჩეული და დაჭრილი ბოსტნეული ჩაყარეთ მდუღარეში, ხარშეთ დარბილებამდე. წყალი გადაწურეთ. ჩასრისეთ მასში რამდენიმე ჩაის კოვზი ბოსტნეული. დაუმატეთ მოხალული ფქვილი და ადუღეთ 10 წუთი.

მარილს ნუ უზამთ ნურც ბოსტნეულის საუზმეს და ნურც მის წვნიანს. სჯობს ცოტათი დაშაქროთ.

**— ჩემი ბავშვი მის ტოლ გოგონას წონით ჩამორჩება. ხომ არ დავუწყო დამატებითი კვება?**

— ამაში საგანგაშო არაფერია 1-2 კილოგრამით ბავშვები წონაში განსხვავდებიან. ასიდან 99 დედას სურს მისი შვილი ისეთი პუტკუნა იყოს, როგორებსაც რუბენსი ხატავდა. ასეთი ბავშვები გამონაკლისია და დიდი შეცდომა იქნება იფიქროთ, რომ მსუქანი ბავშვი ჯანმრთელია, ხოლო გამხდარი — სუსტი და ავადმყოფობისკენ მიდრეკილი.

ბავშვები ერთმანეთისაგან ყველაფრით განსხვავდებიან. აქ დიდია მემკვიდრეობის ფაქტორიც.

ბავშვი, რომელიც დაბადებითვე გამხდარი და გარეგნულად სუსტი აღნაგობისაა, არ გასუქდება, რა გინდ ბევრი აჭამოთ, ხოლო ადვილად შესაძლებელია გაუჩნდეს ჭამისადმი ზიზღი ან საჭმლის მონელების სისტემის მოშლილობა. თუკი ზოგი სისტემატურად ზედმეტი ჭამით გასუქდა კიდეც, სულაც არ ნიშნავს, რომ ის უფრო ჯანმრთელი და ამტანია, ვიდრე გამხდარი. პირიქით. სიჭაბუკეში შესული მსუქანი ახალგაზრდა ხშირად შენატრის გამხდარს და ალნაგ თანატოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველას სურს იყოს კარგი მშობელი, მაგრამ როგორ? როგორ აღვზარდოთ სწორად ბავშვი?

ცხადია, ამას ერთმნიშვნელოვნად ვერ ვუპასუხებთ, მაგრამ არის ადამიანი, რომელიც ყველაზე არსებითს და მნიშვნელოვანს ძალზე მოკლედ და გასაგებად უპასუხებს.

ეს კაცი გახლავთ აშშ-ის წამყვანი სპეციალისტი პედიატრიის, ბავშვის ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის დარგში ალან ფრომი. მის წიგნს „ანბანი მშობლებისათვის" მილიონობით ადამიანი კითხულობს ამერიკაში და მთელ მსოფლიოში.

ჩვენს მკითხველებს რუბრიკით „პრაქტიკუმი მშობლებისათვის" დროდადრო მივაწვდით, ზოგ, ჩვენის აზრით უფრო საჭირო თავების თარგმანს.

# ადაპტაცია

ადაპტაცია (ლათინურად შეგუება) — ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. იგი გულისხმობს პიროვნების ფსიქიურ ჯანმრთელობას, ანუ ჰარმონიას საკუთარ თავსა და გარემომცველ სამყაროს შორის.

როგორ განვსაზღვროთ სულიერად ჯანსაღია თუ არა ჩვენი ბავშვი, ანუ ადაპტირებულია თუ არა იგი?

ფიზიკური ჯანმრთელობის გამორკვევა იოლია. თუ ბავშვი უცნაურად იქცევა, ან ცუდი ფერი აქვს, მაშინვე ვუსინჯავთ შუბლს, ვუდგამთ თერმომეტრს, ვეკითხებით, რა აწუხებს. დაახლოებით იგივეს ჩადის ექიმიც, რათა დიაგნოზი დასვას. ინსტრუმენტების მეშვეობით ის იკვლევს ავადმყოფს, და არკვევს ავადმყოფობის ობიექტურ მონაცემებს. გაცილებით რთულია განვსაზღვროთ ბავშვის ფსიქიური მდგომარეობა.

თუ სადმე შეგხვედრიათ ადამიანები, რომლებიც თავს შესანიშნავ მშობლებად არ თვლიდნენ?

ძნელია განსაზღვრო ბავშვი ჯიუტია თუ უდრეკი, თამამია თუ აგრესიული, კარგად აღზრდილია თუ მორიდებული, მხოლოდ იმით, რომ ის განვითარებაში ჩამორჩება. ასევე თქვენთვისაც. როგორც დედისთვის ძნელია გაარკვიოთ, მოსიყვარულე დედა ხართ თუ ახშობთ ბავშვის ნებას, მართლა გესმით თქვენი ბიჭისა თუ ცდებით.

შეგიძლიათ თუ არა გაარკვიოთ, რა არის ბავშვის ქცევაში მისეული და არა თქვენი შთაგონებული?

აი, რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც გამოგადგებათ:

1. იოლია თუ არა თქვენი ბავშვის გაცინება?

2. ხშირად ჭირვეულობს? კვირაში ერთი ორჯერ, თუ უფრო იშვიათად?

3. მშვიდად წვება დასაძინებლად თუ მთელ ოჯახს აფორიაქებს?

4. საჭმელს ნორმალურად ჭამს თუ ჭირვეულობს?

5. ჰყავს თუ არა მეგობრები, რომლებთანაც სიამოვნებით თამაშობს და რომლებიც მასაც კარგად ექცევიან?

6. ხშირად კარგავს წონასწორობას?

7. ყოველთვის სჭირდება თვალყურის დევნება?

8. შეუძლია თუ არა ღამით არ ჩაისველოს?

9. ჩვეულებად ხომ არა აქვს ცერა თითის წოვა, წუწუნი, მეტისმეტად ფანტაზიორობა?

10. თუ შეგიძლიათ სადმე მარტო დატოვოთ ისე, რომ არ გადაბჟირდეს ტირილით, თითქოს სულ მიგეტოვებინოთ.

11. თავის თანატოლებთან კარგად იქცევა თუ აქაც თქვენი ზედამხედველობა სჭირდება?

12. ხომ არ აქვს რაიმეს შიში?

თუ ყველა ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემას შეძლებთ, მაშასადამე მშვენივრად გაგიზრდიათ თქვენი პატარა და შეიძლება მშვიდად იყოთ — ის ბრწყინვალედაა ადაპტირებული. მაგრამ სინამდვილეში ძალზე ცოტა მშობელს შეუძლია ეს, რადგან ჩვენ ჩვეულებრივ ადამიანებს ვზრდით და არა ღმერთებს.

ცხოვრებასთან სრული ადაპტირება, სამწუხაროდ, შეუძლებელია. ყველაზე უკეთესი, რაც ამ მხრივ შეიძლება გავაკეთოთ, არის ფსიქიური სიჯანსაღის იდეალთან მიახლოება. ნახეთ, რამდენი „დიახ" და რამდენი „არა" არის თქვენს პასუხებში. თუ უარყოფითი პასუხი ჭარბობს, მიმართეთ ფსიქოლოგს ან სპეციალისტს. ხოლო თუ დადებითი პასუხია მეტი, მაშინ შეგიძლიათ მიულოცოთ საკუთარ თავს, ნუ ინერვიულებთ ზოგიერთ უარყოფით პასუხზე, თორემ მათი რიცხვი უფრო გაიზრდება.

ცოტა რამ თვით ამ კითხვაზე. იგი დამხმარე ხასიათისაა, მასში ყველაფერი თანაბრად მნიშვნელოვანი როდია. ზოგიერთ შემთხვევაში თქვენთვის ალბათ უფრო იოლია უპასუხოთ „ხანდახან", ვიდრე „არა" ან „დიახ". კითხვარის მიზანია დაგეხმაროთ თქვენი ბავშვის ქცევაში ყურადღება მიაქციოთ მთავარ მომენტებს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ეს კითხვები ეხება 3-დან 6 წლამდე ბავშვებს. და რაც უფრო დიდია ბავშვი ამ ასაკის ფარგლებში, მით უფრო სასარგებლოა ეს კითხვარი.

ხოლო 3 წლამდე ბავშვის სიცოცხლისუნარიანობის გასარკვევად მთავარია მისი ძირითადი თვისებები კვება, დამოკიდებულება საწოვარასთან, ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. აქ ძალზე სწრაფი ან ძალზე შენელებული განვითარება შეიძლება შემდგომი გართულებების წინაპირობად იქცეს. თუ ორი წლის პატარას ჯერ კიდევ არ შეუძლია გადაეჩვიოს საწოვარას, შესაძლოა 6 წლისა სხვა რამეში ჩაჩამორჩეს. ანდა ბავშვი, რომელიც დროზე ადრე შეეჩვია ღამის ქოთანს, შესაძლოა 2 ან 3 წლის შემდეგ გადაეჩვიოს კიდეც მას.

საერთოდ საფუძველი მაშინ გვექნება ვიფიქროთ, რომ პატარა კარგადაა ადაპტირებული, თუ მისი ქცევიდან გამოვრიცხავთ

**უკიდურესობებს:** მაგალითად, ზედმეტ აქტიურობას ან ზედმეტ პასიურობას.

**ადრეული ჩვევების განმეორებას:** მაგალითად, ბავშვი რამდენიმე თვე თვითონ ჭამდა, უცებ ითხოვს, სხვამ აჭამოს.

**თანატოლებისგან განვითარებაში ჩამორჩენას:** მაგალითად, თუ 4 წლის ბავშვი ორწლინახევრის ბავშვივით მეტყველებს. თუ ბავშვის კვება კვლავ პრობლემად რჩება.



# ვიდრე ცოლს დაადანაშაულებდეთ...

## არსებობს თუ არა სქესობრივი შეთავსებლობა

განქორწინების სტატისტიკა მოწმობს, ხშირ შემთხვევაში ოჯახების დაშლის მიზეზი მეუღლეთა სქესობრივი შეუთავსებლობაა. მედიცინა კი ადასტურებს, რომ ანატომიური შეუთავსებლობა არ არსებობს. განქორწინებათა მიზეზები პარტნიორთა სულიერ მხარესა და სქესობრივ ქმედებაში უნდა ვეძებოთ. სქესობრივ ურთიერთობებში სიამოვნებას განიცდის ორი, ამიტომ გადამწყვეტია არა მეთოდი, რომლითაც სარგებლობენ პარტნიორები, არამედ მოტივი და შედეგი „არავითარი ალერსი, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს საყვარელ ადამიანს, არ შეიძლება ჩაითვალოს გარყვნილებად“. (სექსოლოგი ზიგფრიდ შნაბელი)

სექსოლოგების აზრით, მამაკაცმა უნდა შეამზადოს ქალი სიამოვნების მთელი სისრულით განცდისათვის. ვიდრე მამაკაცი სქესობრივ შეუთავსებლობას მოიმიზეზებდეს და ცოლს დაადანაშაულებდეს, სასურველია გულწრფელად გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. მიყვარს თუ არა ჩემი ცოლი, როგორც ადამიანი და არა როგორც სქესობრივი პარტნიორი?

2. მენატრება თუ არა იგი?

3. განვიცდი თუ არა მის დაკარგვას?

4. მისი სიკვდილის შემთხვევაში შევძლებ თუ არა ცოლის შერთვას?

5. კარგად ვიცი მისი სქესობრივი მოთხოვნები?

6. სრულყოფილია ჩვენი სქესობრივი აქტი?

7. მაკმაყოფილებს ნორმალური სიხშირის სქესობრივი კონტაქტი?

8. შეესაბამება ჩემი სქესობრივი მოთხოვნები მიღებულ სქესობრივ მორალს?

9. ერთგულია ჩემი ცოლი?

10. ვენატრები?

11. სექსის გარეშე არის თუ არა ჩემი ცოლი კარგი მეგობარი?

12. იჯავრებს ჩემს სიკვდილს?

13. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ არ გათხოვდება?

14. მაქსიმალურად ამჟღავნებს თავის ვნებას სქესობრივი კავშირის დროს?

15. მპასუხობს კოცნაზე?

16. ნებაყოფლობით მეხება სქესობრივი აქტის დროს?

პასუხი პირველ კითხვაზე დადებითია, თუ მამაკაცს უყვარს ცოლი და სქესობრივადაც აკმაყოფილებს იგი. მე-2-3-4 კითხვებზე უარყოფითი პასუხი იმის მაჩვენებელია, რომ ცოლი არ არის მისი სულიერი ცხოვრების მოზიარე და გატაცებულია მხოლოდ სექსით. ეს სიტუაცია მამაკაცში ფსიქოლოგიურ დაძაბულობას იწვევს, რაც მის გრძნობებზე უარყოფითად მოქმედებს.

მე-5-6 კითხვები საჭიროებს დადებით პასუხს. არ შეიძლება ქმარი იყოს თვითდაჯერებული თავის სექსუალურ შესაძლებლობებში, თუ არ იცის ცოლის სქესობრივი მოთხოვნები. მათი დადგენა კი შეიძლება ცოლთან საუბრით ან დაკვირვებით. მამაკაცი უნდა დაინტერესდეს დააკმაყოფილა თუ არა სქესობრივმა აქტმა ცოლი. რაც შეეხება მე-7 კითხვას, არც ქალმა და არც კაცმა არ უნდა გადააჭარბოს სქესობრივი ურთიერთობების გონივრულ სიხშირეს. ცოლ-ქმრული ცხოვრების რამდენიმე წლის შემდეგ, სქესობრივი კავშირი საშუალოდ 3-4 დღის შემდეგ უნდა დამყარდეს, საშუალო ასაკის წყვილებისათვის კვირაში 2-3-ჯერ, მაგრამ კვირაში ერთი კავშირი არასაკმარისია.

მე-8 კითხვაზე პასუხი ასეთია: არანაირი ალერსი არ ითვლება ამორალურად, თუ იგი სიამოვნებას ანიჭებს საყვარელ ადამიანს, მაგრამ არ შეიძლება ცოლს ეალერსო იმ სახით, რომელიც მას მიუღებლად მიაჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ჩამოუყალიბდება სქესობრივი ანტიპათია.

თუკი არსებობს სქესობრივი შეუთავსებლობის გამოსწორების იმედი, მე-9-12 კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაიცეს.

ვიდრე ცოლ-ქმარს არ ექნებათ სულიერი ერთიანობა, მათ არც სიყვარული შეეძლებათ.

მე-13 კითხვაზე შეიძლება გაიცეს დადებითი პასუხი. ქმრის სიკვდილის მომენტში არცერთი ერთგული ცოლი არ დაუშვებს მსგავს აზრს.

მე-14-16 კითხვებიც დადებით პასუხს საჭიროებს. ურთიერთკოცნა სასიყვარულო თამაშის დროს საუკეთესო აღმგზნები საშუალებაა.

უნდა ვიფიქროთ, რომ გულახდილი საუბარი და სრულყოფილი აქტი დაძლევს სქესობრივი შეუთავსებლობის პრობლემას თუ, რა თქმა უნდა, მეუღლეთა შორის სხვა რამ საიდუმლო არ იმალება.

წიგნიდან „სქესობრივი ცხოვრების“ ენციკლოპედია

ავტორთა ჯგუფი, პროფესორ ფ. მარგანსის ხელმძღვანელობით.

თარგმნა თინათინ ჩხიკვაძემ



---

ექიმი გვირჩევს

# როგორ ვიკვებოთ სწორად...

ამ კითხვით მივმართეთ ექიმ-გასტროენტეროლოგს კვების ინსტიტუტის თანამშრომელს პ. კოჩეტაკოვს.

— ჯერ ერთი, აუცილებელია ვჭამოთ დღეში ოთხჯერ მაინც და ყოველთვის ერთსადაიმავე დროს. მაშინ კუჭიც მიეჩვევა თავის დროზე წვენის გამოყოფას, ჭამათა შორის შუალედი ექვს საათზე მეტი არ უნდა იყოს. თუ ზოგჯერ დანაყრებას ვერ მოასწრებთ, მცირეოდენი რამ მაინც მიირთვით. ცხელ საჭმელს ბუტერბროდით ნუ შეცვლით. იგი კუჭს დაგიავადებთ. საკვების ნორმალური გადამუშავებისათვის აუცილებელია ცხელი საჭმელი. სასურველია წვნიანის მიღება კვირაში ორ-სამჯერ მაინც, ხოლო მისი შეცვლა წვენებითაც შეიძლება, როგორც სხვა ქვეყნებშია მიღებული.

საუზმე, სადილი და ვახშამი ერთგვარი შვებაა ტვინის, კუნთების და ნერვული სისტემისათვის. შეეცადეთ ჭამის დროს თქვენს პრობლემებზე და მით უფრო, უსიამოვნო ამბებზე არ იფიქროთ, მაშინ უკეთეს ხასიათზეც იქნებით და კუჭის წყლულისგანაც თავს დაიცავთ.

თამბაქოს და არყის მავნებლობა ხომ ყველასთვის ცნობილია!

ივახშმეთ დაძინებამდე ორი საათით ადრე.

ხშირად მიაკითხეთ სტომატოლოგს, ავადმყოფი კბილი ინფექციის წყაროა, არც დაუღეჭავი საჭმელი არგებს კუჭს.

და ბოლოს:

ეცადეთ ჯერძი მრავალფეროვანი იყოს, ერთფეროვანი კვებისას ორგანიზმი ვერ იღებს აუცილებელ ნივთიერებებს და საჭმელიც ნორმალურად არ გადამუშავდება, ვინაიდან კუჭის წვენი საჭირო რაოდენობით არ გამოიყოფა.

ს. რიაბუხინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატირალი სხვა რამ გვაქვს...



ფლორა და ვენა — „ცეკვის მასწავლებელში". ფლორისება — ანა ავლოხაშვილი

მსახიობი ანიკო ავლოხაშვილი, რომელიც ასე სათუთად მიყვარს და რომელსაც სხვებისგან განსხვავებულად საზეიმო — ამაღლებულად ანას ვეძახი, 14 წლისა იყო, მარჯანიშვილის თეატრში რომ დაიწყო მუშაობა.

თეატრი ახლად დაარსებული იყო და მისი ხელმძღვანელი კოტე მარჯანიშვილი დასის შევსებას ვარსკვლავების სადარი მსახიობებით შეუდგა. განსაკუთრებით ახალგაზრდები აინტერესებდა. თეატრის მისაღებ გამოცდებზე დიდძალი მსურველი მოვიდა, მხოლოდ ხუთი მიიღეს და მათ შორის პატარა ანიკოც. ბატონ კოტეს არაფერი ეშლებოდა — სულ ნორჩი გოგონა თრთოლვითა და კანკალით, მაგრამ გაბედულად დადგა თეატრის რჩეულ ტალანტებთან ერთად სცენაზე, ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ვერიკოს, უშანგის, შალვა ღამბაშიძეს, ვასო გოძიაშვილს, ჟორას, სესილიას, ცეცილიას, ელენე დონაურს, სერგო ზაქარიაძეს, ქორელებს, აკაკი კვანტალიანს, ელისაბედ ჩერქეზიშვილს და სხვებს.

ანიკო მონაწილეობდა სპექტაკლებში: „კაკალ გულში", „ჰოპლა", „ოტელო", „აპრაკუნე ჭიმჭიმელი", „მზის დაბნელება საქართველოში"... მოგეხსენებათ, კოტეს მასობრივი სცენები, როგორი აკადემია იქნებოდა ახალგაზრდა მსახიობისათვის, შემდეგ კი ეპიზოდური როლები მისცეს.

იმ სანატრელი წლებიდან მოყოლებული ანიკომ ჩვენი თეატრი მრავალფეროვანი რეპერტუარით გაამდიდრა, უანგაროდ იხარჯებოდა სცენაზე, დიდი პასუხისმგებლობით და მღელვარებით. დაუვიწყარია მისი მემანქანე გოგონა „1917 წელში" ძიძა და ქალბატონი კაპულეტი — „რომეო და ჯულიეტაში", ცქრიალა — „ჭრიჭინაში", დარეჯანი „კაცია ადამიანში"...

ოცდახუთი წელი სანთელივით იწვოდა ანიკო ავლოხაშვილი სცენაზე. 40 წლისა წავიდა თეატრიდან... გული მეწვის, მისი წასვლა რომ მახსენდება. 40 წელი მსახიობისათვის დიდებული ასაკია — მისი დამკვიდრების, დაოსტატებისა და გამოცდილების მომკის სანეტარო დრო, მაგრამ... რა გამოლევს შურიან ხალხს თეატრში, მითუმეტეს, თუ ნიჭიერი ხარ.

მწარე იყო ეს წასვლა ჩემო ანიკო. თუმცა მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა, გული მტკივა, რომ ვერაფრით დაგეხმარე... 37 წლისა იყო უშანგი, როცა თეატრიდან იძულებით წავიდა... მერე როგორ დარდობდა. ვახტანგი? ირაკლი? ნათელა? ანდა კიდევ რამდენი... ვინც გაიძულა თეატრიდან წასვლა, დღეს ცოცხლები აღარ არიან. რა შერჩათ და რა წაიღეს...

ანიკო ავლოხაშვილს სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად მშვენიერი მჟღერადი ხმაც აქვს (25 წელი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გალობდა სხვადასხვა ტაძარში). თეატრში მუშაობდა და თან მღეროდა მარო თარხნიშვილის, აქვსენტი მეგრელიძის, კირილე პაჭკორიას გუნდებში, ხელმძღვანელობდა მეჩონგურე ქალთა ანსამბლს, გამოდიოდა ფილარმონიის ესტრადაზე თავის მეუღლესთან — მომღერალ არჩილ მესხიძესთან ერთად.

მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლის მერე ნაძალადევის კლუბში დაიწყო მუშაობა ოს მსახიობთა დასის დამდგმელ რეჟისორად. მაშინ ისწავლა ოსური ენა. მრავალი შესანიშნავი სპექტაკლი დადგა იმ წლებში. 1979 წელს სახალხო თეატრების ფესტივალის ლაურეატიც გახდა, მაგრამ რა, არც ქართველებს და არც ოსებს არ გახსენებიათ მისი ღვაწლისა და ამაგის დაფასება...

ალბათ ბევრჯერ გეტკინა გული, ჩემო ანიკო, მაგრამ გულის სატკენი და სატირალი იმდენი დაგვიგროვდა, ასეთი ტკივილებისთვის ვეღარც მოგვიცლია. ნანას მზემ (ასე იფიცებს ხოლმე ანიკო თავის საყვარელ შვილს — მხატვარ ნანა მესხიძეს).

ჰო, სადარდებელი და სატირალი სხვა რამე გვაქვს. რას გვემართლებიან „შენი ოსები", ანიკო?

ანამ ამოიქვითინა: „ძალიან ცუდად, საზარლად იქცევიან. მრცხვენია, რომ ჩემს სამშობლოს — საქართველოს ასე უმადურად ექცევიან"...

მართლაც რომ სადარდებელი და სატირალი სხვა რამე გვაქვს...

**ნინო ჩხეიძე**



ანიკო ავლოხაშვილი და მისი მეუღლე არჩილ მესხიძე



ქალბატონი ანიკო და ბატონი არჩილი შვილიშვილებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საღამოს უძღვება მაია დათუნაშვილი

მაია დათუნაშვილი ასაკს არ მალავს, ოცდაათი წლისაა, ჰყავს მეუღლე და ათი წლის ბიჭუნა დათო, რომელიც „ბასტი-ბუბუში" მღერის და თუმცა მაიას კარგად იცნობენ მუსიკალურ სამყაროში, როგორც საუკეთესო სპეციალისტს, ჩვენს მკითხველს სურს იცოდეს, როგორია იგი პირად ცხოვრებაში, ოჯახში?

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

— ქალბატონო მაია, თქვენ შეგიყვარათ მაყურებელმა დახვეწილი პროფესიონალიზმისა და თანდაყოლილი არტისტიზმის გამო. მაყურებელი სიამოვნებით მიდის კონცერტზე, თუ აფიშებზე წარწერაა: საღამოს უძღვება მუსიკისმცოდნე მაია დათუნაშვილი...

— გმადლობთ ქათინაურისთვის, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, ჩემი ძირითადი საქმიანობა სხვაა. კონსერვატორია მუსიკის ისტორიის განხრით დავამთავრე. გადაცემა „ალიონის" მუსიკალური რედაქტორი და კომენტატორი ვარ; მზად მაქვს საკანდიდატო თემაც, მაგრამ ტელევიზიამ ისეთი „სენი" შემყარა, ალბათ ვერასოდეს განვიკურნები. ბედნიერი ვარ, როცა ტელევიზიით გამოვდივარ. თუმცა ღია ეთერს პრესა მირჩევნია, სტუდენტობის დროიდან ვიბეჭდებოდი. ძალიან მომწონს თქვენი ჟურნალი. დიდი პატივი იქნება, თუ თქვენს ავტორადაც მიგულებთ. თუ კონცერტი ჩემი შედგენილია, ვთანხმდები, თუ მხოლოდ წამყვანად მიწვევენ — უარს ვამბობ. ხასიათში ბევრი თავისებურება მაქვს. ზოდიაქით ქალწული ვარ. მე და ჩემი მეუღლე ერთ დღეს ვართ დაბადებული, რაც ბევრ პრობლემას გვიხსნის.

კომპოზიტორმა რუსუდან სებისკვერაძემ სრულიად ახალგაზრდას მთხოვა მისი შემოქმედებითი საღამო წამეყვანა. მაშინ „ალმომაჩინა" ტელევიზიამ. არ მსურს სადმე შტატში ვირიცხებოდე, არც არავითარი წოდება გამაჩნია, არასოდეს მიოცნებია დირექტორობაზე, რედაქტორობაზე...

ბატონმა არჩილ გოგელიამაც კი არ იცის ალბათ, მისი უშტატო თანამშრომელი რომ ვარ. ასე უფრო წყნარად და მშვიდად ვაკეთებ ჩემს საქმეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვენოფონდი იქმნება, ჩაიწერეს ჩემი ხმა, გადამიღეს ფოტო, დავწერე ავტობიოგრაფია, დალუქეს, გარდაცვალების შემდეგ გახსნიან, გაუკვირდათ, არც ერთი კავშირის წევრი რომ არ აღმოვჩნდი.

ჩემთვის პროფესიაში ეტალონი გახლდათ ბატონი პავლე ხუჭუა, არაჩვეულებრივად ერუდირებული პიროვნება, თითო-ოროლა თუ მეგულება მისნაირი. როცა მისი სატელევიზიო ლექცია მოვისმინე, მაშინ გამოვუტანე თავს „განაჩენი": გავმხდარიყავი მუსიკისმცოდნე. მშობლები ჩემს ექიმობაზე ოცნებობდნენ. ბატონი პავლესგან დამახსომდა — თუ გინდა მსმენელისთვის საინტერესო და მიმზიდველი იყო, საუბარში ყოფითი თემები უნდა ჩაურთო, ლირიული გადახვევებით შეავსო, ადამიანებს ადამიანურ ენაზე ესაუბრო, თუ ამას ვერ შეძლებ, სხვა საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი. ტელევიზიაში მიცნობენ, როგორც უტექსტო ავტორს. წინასწარ არაფერს ვწერ, ხუმრობით უდისციპლინოც ამიტომ შემარქვეს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის ვღელავ, როცა ღია ეთერში გასასვლელად ვემზადები, დილით რვის ნახევარზე უკვე სტუდიაში ვარ, ვეჩვევი გარემოს. დავჯდები მიკროფონთან თუ არა, ღელვაც ქრება.

— ...პოლიტიკაზე?—რა ქალის საქმეა პოლიტიკა? თუმცა გამონაკლისი ალბათ აქაც არსებობს.

რა შესაშური პირობები აქვთ უცხოელ ქალებს. სამაგიეროდ, ჩვენი ქალები საშინელ საყოფაცხოვრებო პირობებშიც კი ინარჩუნებენ სათნოებას და სილამაზეს. უცხოელი კინოვარსკვლავი ჩვენს პირობებში ორიოდ თვეში პირწმინდად დაჰკარგავდა მომხიბვლელობას.

ნეტარებით ვიგონებ წლებს, როცა საკონცერტო დარბაზიდან დარბაზში ძლივს ვასწრებდი მისვლას, მუსიკალური სამყაროს იმდენი ვარსკვლავი გვეწვეოდა ხოლმე.



რუსუდან სებისკვერაძე და მაია დათუნაშვილი

ჩვენში ჟურნალისტი დაუცველია, უმნიშვნელო ჰონორარებს ვიღებთ. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს შიშველი ენთუზიაზმია და სხვა არაფერი. ინტერვიუები ამიღია უინტონ მარსელის, არტ ბლეიკის, იან გილანის, უილის კანოვერის, ლექსო თორაძისგან. ასეთი ინტერვიუებისათვის ნებისმიერ ქვეყანაში ათასობით დოლარს გადამიხდიდნენ. ეს ლექსომაც დამიდასტურა. როცა „ამერიკის ხმაში" ჩემი ხელფასით დაინტერესდნენ შემრცხვა — რედაქტორი, ავტორი, გადაცემის წამყვანი-კომენტატორი, ასეთები იქ ლამის მილიონერები არიან.

როგორც პროფესიონალი, დიდი სიამოვნებით ვისმენ ჯაზს, თანამედროვე ესტრადას, მაგრამ ჩემთვის ყველაზე სანუკვარია ნებისმიერი ჟანრის კარგი ქართული სიმღერა.

ინგლისური ვიცი, იტალიურად საუბარსაც ვახერხებ. ახლახან იტალიაში გახლდით, სადაც ჩატარდა ევროპის საქველმოქმედო ორგანიზაციების პირველი მსოფლიო კონგრესი, დაფუძნდა ევროპული ქველმოქმედების საბჭო, რომელსაც სადამფუძნებლო

დაულო რომის პაპის სიტყვები — იყავით გულმოწყალენი და სიყვარულის ცივილიზაციის გამტარებელნი. საქართველოდან სამნი ვიყავით — საქართველოს გულმოწყალების ფონდის პრეზიდენტი ბატონი სიმონ ხეჩინაშვილი, ოპერატორი და მე. მოხსენებით გამოვიდა ბატონი სიმონი. ფლორენციის მერმა მიგვიწვია რეზიდენციაში, სადაც დიდ სახელმწიფო მოღვაწეებს იღებენ. საოცრების ქვეყანაა იტალია. ყველა ძალდაუტანებლად ეწევა ქველმოქმედებას. ყოველგვარი აფიშების, კონცერტებისა და ღონისძიებების გარეშე აკეთებენ ამას, ეხმარებიან მოხუცებს, ავადმყოფებს, ინვალიდებს... საქველმოქმედო ასოციაციის პრეზიდენტი ფრანჩესკო ჯანელი ალბათ ყველაზე გულკეთილი კაპიტალისტია, თავისი კაპიტალის უდიდეს ნაწილს ქველმოქმედებას ახმარს, შვიდი საუკუნეა მოქმედებს წესდების პირველი პუნქტი — მოწყალების ძმებმა არ უნდა აიღონ გასამრჯელო. „ალიონში“ გადავეცი ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები. საერთოდ, უდიდესი სიამოვნებით ვაკეთებ ყოველივეს, რაც ქველმოქმედებასთანაა დაკავშირებული.

— ჰობი?

— ჩემს უცნაურ უნარზე მეკითხებით? ნებისმიერ სიტყვას, წინადადებას დაუფიქრებლად უკუღმა ვატრიალებ. ასე წავიკითხე ზეპირად აკაკის ნაკლებად ცნობილი ლექსი ტელევიზიიდან, მერე რა გამოყენებითი სფერო აქვს ამას? — არაფერი. მეგობრები მთავაზობენ, როცა საქართველოში მდგომარეობა გამოსწორდება, ერთი უცნაური კონცერტი ჩავატაროთ — ჩვენ ჩვეულებრივად ვიმღერებთ, შენ პირიქით წაიყვანეო, სასაცილოდ ჟღერს ასე სიტყვები, აღმოსავლურს წააგავს.

ჩემი ჰობია დიასახლისობა, კერძები გემრიელი გამომდის. უზომოდ მიყვარს სტუმარი, მყავს ბევრი მეგობარი.

ბედნიერი ვარ. ჩემი მეუღლე თენგიზ გუდაძე პროფესიით ფილოლოგი, 59-ე საშუალო სკოლის დირექტორია, მრავალი რაინდული თვისება აქვს. ძალიან ვაფასებ მეუღლეში ნდობის ფაქტორს. შესანიშნავად ვგრძნობ თავს ქმრის მშობლებთან, მის ახლობლებთან.

ვწუხვარ, ზედმეტი ხომ არაფერი ვთქვი. უხერხულია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ თუ ვინმეს აინტერესებს, ხომ უნდა იცოდეს როგორია ის პიროვნება, რომელსაც ეკრანზე, ან სცენაზე რამპის შუქზე ხედავს?

— ჩვენც ამიტომ შეგაწუხეთ. გმადლობთ გულახდილი საუბრისათვის.

ესაუბრა **ნანული ზუაია**

## განა ყველასა თქმა უნდა?

# სიტყვა თუ ტყვია?

ყოველდღე შვილი საბავშვო ბაღში მეტროთი დამყავს. იმ დღესაც, როგორც იქნა, ბავშვიანად სკამზე ჩავეკვეხე. მგზავრები იმდენად ბევრნი იყვნენ, ზედ გვებჯინებოდნენ, თავს ვერ იკავებდნენ.

— თქვენ, ახალგაზრდავ, აბრძანდით და დაუთმეთ ადგილი ხანშიშესულებს, — რიხიანად თქმულმა, უნებურად ყველა მიგვახედა. 70 წლამდე ღონიერი მამაკაცი მის წინ მჯდომ, 20-ოდე წლის ფერმკრთალ ბიჭს, რომელსაც ტანთ გაცრეცილი ჯინსის ქურთუკი ეცვა, უბრძანებდა ადგილი დაეთმო. ეს უკანასკნელი უხმოდ ადგა, სახელურს როგორღაც მოუხერხებლად ჩაეჭიდა.

— სხვისი თქმა არ უნდა დაგჭირდეთ, თვითონ უნდა მიხვდეთ, მაგრამ ჩვენ რომ ახალგაზრდობა გვყავს... — არ ისვენებდა მოხუცი.

პატარა ანა, რომელიც უხმოდ უყურებდა ყველაფერს, ცოტა ხნის შემდეგ მომიბრუნდა და წამჩურჩულა:

— დედიკო, ბიძია ტირის!

ახალგაზრდას ავხედე. მას თავი მკლავზე ჩამოეყრდნო და ლოყაზე ცრემლი ჩამოსდიოდა.

...ბრგე მოხუცი თვალისდახამხამებაში გაეცალა ვაგონს და ჩქარი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისაკენ, იმ ახალგაზრდამ კი ძლივს-ძლივობით დატოვა ვაგონი და იქვე სვეტს მიეყრდნო.

ქურთუკის საყელოდან მხართან სისხლშემხმარ დოლბანდს მოვკარი თვალი. მან თავაზიანად იუარა ჩემი დახმარება.

გავიდა ხანი. ერთხელაც ჯიხურიდან ახალი გაზეთები გამოვიყოლე. ანამ გაზეთები ბაბუასაკენ გააქცუნა და ძირს დაუცვივდა. ასაღებად დავიხარე და გავოგნდი. ვუცქერდი ერთ სურათს და თვალებს არ ვუჯერებდი. ჩვენი სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა შორის იმ ახალგაზრდა კაცის სურათიც იყო. ნეკროლოგი მოკლედ იუწყებოდა: „აფხაზეთში ბრძოლების დროს მიყენებული მძიმე ჭრილობებით გარდაიცვალა... მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა“.

ღმერთო ჩემო! ნეტავ რომელი უფრო საბედისწერო აღმოჩნდა ნათქვამი ბიჭისათვის, ჭარმაგი მამაკაცის როყიო სიტყვები, თუ მტრის მიერ მიყენებული ჭრილობა?

**ირმა ზუხაიძე**

# ბებიების რეცეპტები

## ყინვაში სილამაზე

გარეთ გასვლისას რომ არ გაცივდეთ, ოთახის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 18-20 გრადუსს, ძილში კი გამოიყენეთ გრილი წყალი, ანდა ხელები ჩააწყვეთ ცივ წყალში. ზამთარში, დილით, ცხელი შხაპის შემდეგ გადაივლეთ გრილი. სიცივეში გამოსვლის წინ ნუ დალევთ ცხელ სასმელს. ყინვაში, თუ ცხვირი გიწითლდებათ, დილას და საღამოს გაიწმინდეთ აკაციის ყვავილის თბილი ნაყენით, ძლიერ ყინვაში ტუჩებს გაუხეშებისაგან დაგიცავთ სქლად წასმული პომადა. თუ მას არ ხმარობთ, წაისვით ბატის ქონი ან უფერო ჰიგიენური პომადა. სახის კანისათვის ძალიან კარგია თოვლის ნიღაბი. აივნიდან ან ფანჯრიდან მუჭით აიღეთ სუფთა თოვლი, ჩაყარეთ ხელსახოცში, ბოლოები გაუკვანძეთ, თოვლიანი ხელსახოცის შუა ნაწილი კი მჭიდროდ მიიდეთ სახეზე და ყელზე, არც ზემო ქუთუთოები და ნიკაპი დაივიწყოთ.

საინტერესო რეცეპტი ჰქონდათ ჩვენს ბებიებს ხელებისათვის. ისინი იღებდნენ თანაბარი რაოდენობის გლიცერინს, ლიმონის წვენს, ნიშადურის სპირტს და ოდეკოლონს, ურევდნენ ერთმანეთში, ისვამდნენ ღამით ხელებზე და იცვამდნენ ხელთათმანებს. თუ ასეთი კრემის დასამზადებლად რომელიმე კომპონენტი დაგაკლდებათ, წაისვით ხელებზე უბრალო ცხიმიანი კრემი.

თუ ხელები გიწითლდებათ, ჩააწყვეთ კარტოფილის ნახარშ წყალში, ხელებისათვის კარგია აგრეთვე მონაცვლეობითი აბაზანები — ცივიდან-ცხელში. თუ ძლიერ ყინვაში დიდხანს დგომა გიხდებათ, წინდაში ჩაყარეთ ცოტაოდენი მშრალი მდოგვი.

ფეხები რომ არ გაგეყინოთ, უმჯობესია ჩაიცვათ ჯერ ბამბის, მერე კი შალის წინდა. კარგად ინახავს სითბოს წინდებს შუა ჩაფენილი რბილი ქაღალდიც (მაგალითად, გაზეთის).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ნაბოკოვი



# შობა

მხატვარი კარლო ფაჩულია



თოვლი საღამოს ბინდბუნდით იყო ფერშეცვლილი, როდესაც სლეპცოვი სოფლიდან თავის კარ-მიდამოს დაუბრუნდა და კუთხეში მდგომ იმ პლუშის სკამზე ჩამოჯდა, რომელზეც სხვა დროს არასოდეს დამჯდარა. ასე ხდება ხოლმე დიდი უბედურების შემდეგ. ღვიძლი ძმა კი არა, შემთხვევითი, შეუმჩნეველი ნაცნობი, რომელსაც ჩვეულებრივ ორ სიტყვასაც არ ეტყვი, გონივრულად, ალერსიანად გაგამხნევებს, ქუდს მოგაწოდებს, როცა ყველაფერი დასრულდება და შენც მიწა გერყევა, კბილებს არაკუნებ და ცრემლები ხედვას გიშლიან. ასევეა ავეჯიც. ყოველ ოთახში, ყველაზე მყუდროსა და სასაცილოდ პატარაშიც კი არსებობს მიტოვებული კუთხე. სწორედ ასეთ კუთხეში დაჯდა სლეპცოვი.

ფლიგელი მთავარ სახლთან დაკავშირებული იყო ახლა უკვე თოვლით ჩაზერგილი ხის გალერეით, სადაც ზაფხულობით ცხოვრობდნენ. აღარ ღირდა მისი გამოღვიძება და გათბობა, სახლის პატრონი პეტერბურგიდან მხოლოდ რამდენიმე დღით ჩამოვიდა და თოვლიან ფლიგელში დასახლდა, სადაც თეთრი შორენკეცის ღუმელის გათბობა საკმაოდ იოლი საქმე გახლდათ.

სლეპცოვი იჯდა კუთხეში მიდგმულ პლუშის სკამზე, ისე თითქოს ექიმის მისაღებში ზის. ოთახი წყვდიადში მიცურავდა. ყინვის შუშისებრ ბუმბულების მიღმა მუქ ლურჯად ლივლივებდა ადრიანი საღამო. ჩუმმა, დაღვრემილმა ივანემ, რომელსაც ახლახან მოეპარსა ულვაშები, ნავთით გამართული მოპარპალე ლამპა შემოიტანა, მაგიდაზე დადგა და უხმაუროდ ჩამოუშვა აბრეშუმის გალია — ვარდისფერი აბაჟური. დაქანებულ სარკეში წამით მისი განათებული ყური და ჭაღარა ბუძგი გამოჩნდა. შემდეგ ის გავიდა და კარმა წყნარად გაიჭრიალა.

მაშინ სლეპცოვმა მუხლებზე ჩამოდებული ხელი აიღო და დააშტერდა. თითებს შორის, კანის თხელ ნაოჭებზე სანთლის გაშრილებული წვეთი მიკრულიყო. მან თითები გაჩაჩხა. თეთრი ქერცლი დასკდა.

როდესაც მეორე დილით, უაზრო სიზმრებში გატარებული ღამის შემდეგ, რომლებიც საერთოდ არ ეხებოდნენ მის მწუხარებას, სლეპცოვი ცივ ვერანდაზე გამოვიდა, ფეხქვეშ მხიარულად გაისროლა ცალფიცარმა და თეთრ მერხზე სამოთხის რომბებივით გაწვნენ ფერადი შუშის ანარეკლები. კარი მაშინვე არ დანებდა, შემდეგ ტკბილად გაიტკაცუნა და სლეპცოვს ბრწყინვალე ყინვა შეეგება. ყინულზე დარიჩინის წითური მარცვლებივით იყო ქვიშა მოხნეული. სქელი, წვეტიანი ლოლუები მომწვანო-მოცისფროდ კრიალებდნენ. ნამქერი ფლიგელის ფანჯრებს წვდებოდა და ხის გამოფიტული ნაგებობა მჭიდროდ მჟავდა ყინვის მარწუხებში მოქცეული. ზღურბლის წინ, დატკეპნილ თოვლზე ოდნავღა ჩანდნენ ყვავილნარის თეთრი კვლები, მოშორებით კი, შემაღლებულზე, სკვერი ანათებდა, სადაც ყოველი შავი ტოტი მოვერცხლილი იყო და ნაძვები ფუმფულა და მოელვარე ტვირთის ქვეშ მწვანე თათებს იკეცავდნენ.

მაღალ ბოტებსა და კრავულის საყელოიან მოკლე ქურქში გამოწყობილი სლეპცოვი ნელა მიაბიჯებდა ამ თვალისმომჭრელ სიშორეში სწორი, ერთადერთი გაწმენდილი ბილიკით. უკვირდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობს, რომ შეუძლია შეიგრძნოს, როგორ ანათებს თოვლი, როგორ კვნესიან წინა კბილები ყინვისაგან. მან ისიც კი შეამჩნია, რომ დათოვლილი ბუჩქი გაყინულ ფარაშს წააგავს და რომ ნამქერის კიდეზე მოჩანს ძაღლის ნაკვალევი და ზაფრანისფერი ლაქებით აჭრელებული თოვლის ზედაპირი, ცოტა მოშორებით პატარა ხიდის საყრდენები ამოჩრილიყო. სლეპცოვი აქ შეჩერდა. მწარედ, [illegible] მოაბერტყა სქელი, ფუმფულა თოვლის ფენა. მან აქ წუთში [illegible], როგორი იყო ეს ხიდი ზაფხულობით. [illegible] ფიცრებზე [illegible] [illegible], [illegible] მარჯვე [illegible] ხის მოაჯირზე ჩამომჯდარ პეპელას იჭერდა. ეს, [illegible] დაინახა. ჭილის ქუდის გადაკეცილ ფარფლებ ქვეშ, მზისგან გარუჯულ სახეზე, [illegible] სიცილი დასთამაშებს. ფართო ქამარზე ჩამოკიდებული ტყავის საფულეს და მოოქრო ჯაჭვს ხელით აჩხაკუნებს, მხიარულად გაურჩხავს საყვარელი, სწორი, ყავისფერ სარჟის შარვლიანი, [illegible] სანდლებწამოცმული ფეხები. სულ ახლახანს, პეტერბურგში, მხიარულ, [illegible] სკოლაზე, ველოსიპედზე, რომელიღაც ინდურ პეპელაზე გარდაიცვალა და გუშინ სლეპცოვმა მძიმე, თითქოს მთელი ცხოვრებით სავსე კუბო სოფელში, თეთრი ქვებით ნაგებ პატარა აკლდამაში გადაიტანა, ეკლესიის მახლობლად.

ისეთი სიჩუმე იყო, როგორც მხოლოდ მოწმენდილ, ყინვიან დღეს იცის. სლეპცოვმა მაღლა ასწია ფეხი და ბილიკიდან გადაუხვია. მიდიოდა და თოვლში ღრმა ნაკვალევს ტოვებდა. განაოცრად ნათელ ხეებს შორის გაძვრა და იმ ადგილთან მივიდა, სადაც პარკი მდინარეს უერთდებოდა. სადღაც ქვევით და შორს, ყინულჭრილებთან წყლის თეთრ და წყნარ ზედაპირზე ამოჭრილი ყინულები ანათებდა, ხოლო მეორე ნაპირზე, ქოხების თოვლიანი სახურავების ზემოთ, მშვიდად და სწორად ამოდიოდა კვამლის მოვარდისფრო ჭავლები. სლეპცოვმა კრავულის ქუდი მოიხადა და ხეს მიეყრდნო, სადღაც ძალიან შორს, შეშას ჩეხავდნენ, ყოველი დარტყმის ხმა წკრიალით მისტყუნავდა ზეცაში, ხოლო ქოხების თეთრ, ჩაზნექილ სახურავებს მიღმა, ხეების მსუბუქ, ვერცხლისფერ ნისლს იქით ბრმად ანათებდა ეკლესიის ჯვარი.

III

ნასადილევს სლეპცოვი ძველი, მაღალი, სწორზურგიანი მარხილით იქით გაემგზავრა, ყინვაში მაგრად თახთახებდა შავი ლაფშას ელენთა, თეთრი მარაოები ზუსტად ქუდს ზემოთ მიცურავდნენ, წინ კი ვერცხლისფერი სიცისფრით ლაპლაპებდა ნაურმალი. როდესაც ჩავიდა, დაახლოებით ერთი საათი საფლავის ლოდთან იჯდა. მძიმე, შალისხელთათმანიანი ხელი ედო თუნუქზე, რომელიც შალშიც კი წვავდა თითებს და სახლში იმედგაცრუებული დაბრუნდა. თითქოს იქ, სოფლის სასაფლაოზე შვილთან უფრო შორს იყო, ვიდრე აქ, სადაც თოვლქვეშ საზაფხულო სანდლებით დამჩნეული უამრავი ნაფეხური ინახებოდა.

სალამოს, ძლიერ დაღონებულმა, დიდი სახლის ვალებმა ბრძანა. როდესაც კარი მძიმე შოთქმით ვაიღო და ხმაურიანი რკინის ჩარდახიდან რაღაცნაირმა განსაკუთრებულმა, არამიწიერმა სიგრილემ დამზერა, სლეპცოვმა დარაჯს რკინის რეფლექტორიანი ლამპა გამოართვა და მარტო შევიდა სახლში. ხის იატაკმა შემაწუხებლად დაიჭრიალა, უფერული შუქი ოთახიდან ოთახში იღვრებოდა. მოსასვენებელში ავეჯი უცხოდ ჩანდა. ჭაღების მაგივრად ჭერიდან ჩამოძენძილი ტომარა ეშვებოდა და სლეპცოვის ვეება, ხელგაწვდილი ჩრდილი კედელზე დაკიდებულ ფარდაჩამოფარებული სურათების რუხ ოთხკუთხედებზე მიცურავდა.

როდესაც იმ ოთახში შევიდა, სადაც მისი ბიჭი ზაფხულობით ცხოვრობდა, ლამპა რაფაზე ჩამოდგა და ფრჩხილების ტვრევით ნახევრად გამოაღო თეთრი, საგდულიანი დარაბები, თუმცა კი გარეთ უკვე ბნელოდა, მუქ ლურჯ მინაზე ყვითელი ალი — ოდნავ მბჟუტავი ლამპა აირეკლა და მისმა დიდმა, წვეროსანმა სახემაც გაიელვა.

ცარიელ საწერ მაგიდას მიუჯდა. შეაცქერად შუბლშეკრულმა გადახედა კედელზე გამოსახულ გახუნებულ, მოცისფრო ვარდებს, ვიწრო გამოსაწევუჯრებიან კარადას, რომელიც კანტორის ავეჯს წააგავდა, შალითაგადაკრულ დივანს და სავარძლებს და უეცრად თავი მაგიდაზე ჩამოუვარდა. აკანკალდა, ცივ მტვრიან ხეს ხან ტუჩებით, ხან სველი ლოყით ეკვროდა და ხელებით მაგიდის კუთხეებს ებღაუჭებოდა.

მაგიდაზე იპოვა რვეულები, სახაზავები, ინგლისური ბისკვიტის კოლოფში ჩადებული მსხვილი ინდური აბრეშუმის პარკი, რომელიც სამი მანეთი ღირდა. შვილი მას ავადმყოფობის დროს ახსენებდა და წუხდა, რომ დატოვა. მაგრამ თავს იმით იწუგეშებდა, რომ ჭია მასში, ალბათ, უკვე მკვდარი აჩნდებოდა. იპოვა აგრეთვე დაგლეჯილი ბადე მარმაშის ტომსიკა. მარმაშში ჯერ კიდევ უდიოდა ზაფხულისა და ბალახის სუნი.

მერე მოკუნტულმა, ხლუკუნ-ხლუკუნით, ერთი-მეორის მიყოლებით გამოაღო კარადის მუშამბიანი უჯრები. ლამპის მკრთალ შუქზე, მინის ქვეშ, აბრეშუმის ტილოებზე ლივლივებდნენ პეპლების სწორი რიგები. აქ, ამ ოთახში, აი ამ მაგიდაზე ათავსებდა ბიჭი თავის ნადავლს. ზოლიან შურგს შავი ქინძისთავით ხვრეტდა. პეპლებს ხაცობის ღრმულებში, მოძრავ დაფებს შორის აკვეხებდა, ლანტავდა და ქაღალდის ზოლებით ჯერ კიდევ ცოცხალ, რბილ ფრთებს ამაგრებდა. ახლა ისინი კარგა ხნის გამშრალები იყვნენ, მინის ქვეშ ნაზად ანათებდნენ კუდიანი მახაონები, მოცისფრო-ლაჟვარდისფერი ფარვანები, ხალიჩისფერ მკერდიანი დილა, წითური, მაგწიწკლებიანი პეპლები. და შვილი ლათინურად, ოდნავ ენაჩლუქით ზეპირად ან გულგრილად ასახელებდა მათ სახელწოდებებს.

მთვარიანი, მტრედისფერი ღამე იყო. თხელი, მუქ ბუმბულისფერი ღრუბლები ცაზე იძვროდნენ, მაგრამ მზუმღუქ უინჩულიან მთვარეს არ ეხებოდნენ. ნაცრისფერი ჭირხლის ჯგროდ გადაქცეული ხეები შავ ჩრდილებად წვებოდნენ აქა-იქ ლითონის ნაპერწკალივით გაბრწყინებულ ნამქერზე. ფლიგელის ზომაზე მეტად გამთბარ სასტუმროში ივანემ მაგიდაზე თიხის ქოთნით მტკაველისხელა ნაძვის ხე დადგა და ახის იყო მის ჭვრისებრ კენწეროზე სანთელს ამაგრებდა, როცა დიდი სახლიდან გაყინული, ნამტირალევი, ლოყაზე მუქი მტვრისგან შავლაქებიანი სლეპცოვი შემოვიდა. მან იღლიაში ამოდებული ხის ყუთი მოჰქონდა, როდესაც მაგიდაზე ნაძვის ხე დაინახა, დაბნეულმა და ჩაფიქრებულმა იკითხა: — რა საჭიროა?

ივანემ ყუთი ჩამოართვა და დაბალი ხმით უპასუხა:

— ხვალ ხომ დღესასწაულია.

— არ გინდა, აიღე... — მოიღუშა სლეპცოვი და გაიფიქრა: — ნუთუ უკვე ნათლისღების წინა დღეა? როგორ დამავიწყდა?

ივანე წუწნარად ამტკიცებდა თავისას:

— მწვანეა, იდგეს თავისთვის...

— თუ შეიძლება, მოაშორე, — გაიმეორა სლეპცოვმა და მოტანილ ყუთთან დაიხარა. მასში ბიჭის ნივთები იყო შეგროვილი — ბადე, ბისკვიტის ყუთი გაქვავებული აბრეშუმის პარკით, სახაზავები, ლაქწასმულ ზარდახშაში ჩაწყობილი ქინძისთავები, ცისფერი რვეული, რომლის პირველი გვერდი ნახევრად ამოხეული იყო, დარჩენილ ნაგლეჯზე ფრანგული კარნახის ნაწილი ეწერა. შემდეგ დღიურები, დაჭერილი პეპლების სახელები და სხვა ჩანაწერები გრძელდებოდა: „ჭაობით ბოროვიჩამდე მივედი". „დღეს წვიმდა, მამას შაში ვეთამაშე, შემდეგ საშინლად მოსაწყენ „ფრეგატ პალადას" ვკითხულობდი". „საუცხოო, ცხელი დღეა, საღამოს ველოსიპედით ვიარე. თვალში კინკლა ჩამივარდა. ორჯერ შეგნებულად ჩავუარე მის აგარაკს, მაგრამ თვითონ არ მინახავს!.."

სლეპცოვმა თავი ასწია, რაღაც დიდი და ცხელი გადაყლაპა: კი, მაგრამ, ვისზე წერს მისი ბიჭი?

„ჩვეულებრივ ველოსიპედით ვისეირნე". ერთმანეთს თითქმის თვალებში ჩავხედეთ. ჩემი ტურფა, ჩემი სიხარული".

— შეუძლებელია, — ჩაიჩურჩულა სლეპცოვმა, — მე ხომ ვერასოდეს გავიგებ.

ის კვლავ დაიხარა და ხარბად დაიწყო მაღლა მიმავალი, არეებზე მოხვეული ბავშვური ხელწერის გარჩევა.

„დღეს მეგლოვიას პირველი ეგზემპლარი გამოჩნდა ე. ი. შემოდგომა დადგა. საღამოს წვიმდა. ის ალბათ უკვე გაემგზავრა, მე კი ვერც გავიცანი. მშვიდობით, ჩემო საყვარელო, საშინლად ვდარდობ..."

— მას არაფერი უთქვამს ჩემთვის, — გაიფიქრა სლეპცოვმა და ხელისგულით შუბლი მოიწმინდა.

ბოლო გვერდზე კი ყალმით შესრულებული ნახატი იყო — ეს გახლდათ უკანიდან დანახული სპილო: ორი სქელი ბოძი, ყურის კუთხეები და კუდი. სლეპცოვი ადგა, თავი გადაიქნია და საშინელი, მშრალი ქვითინი შეიკავა.

— მეტი აღარ შემიძლია, — დაიკვნესა მან სიტყვების გაწელვით და კიდევ უფრო ნაწილ-ნაწილ გაიმეორა: — აღარ შემიძლია.

ხვალ შობაა — ენის გასატეხივით გაუელვა მას, — მე კი მოვკვდები. რა თქმა უნდა, ეს ისე ადვილია, დღესვე...

მან ცხვირსახოცი ამოაძრო, თვალები, წვერი და ლოყები შეიმშრალა. ცხვირსახოცს მუქი ზოლები დააჩნდა.

...სიკვდილი, — ჩუმად თქვა სლეპცოვმა თითქოს დიდ წინადადებას ამთავრებსო.

საათი წიკწიკებდა. ფანჯრის ცისფერ მინაზე ყინვის ნახვეები ერთმანეთში იხლართებოდნენ. მაგიდაზე გადაშლილი რვეული ანათებდა, გვერდით, ბადის მარმაშში სინათლის შუქი გადიოდა კოლოფის რკინის კუთხე ბრწყინავდა. სლეპცოვმა თვალები მოჭუტა და წამით მოეჩვენა, რომ ბოლომდე გაიგო და ბოლომდე გაიშიშვლებულია მიწიერი ცხოვრება-საშინელებამდე სამწუხარო, დამამცირებლად უმიზნო, უნაყოფო, საოცრებებს მოკლებული.

და იმ წამსვე რაღაცამ გაიტკაცუნა-გაისმა ნაზი ხმა-თითქოს დაჭიმული რეზინა გაწყდაო. სლეპცოვმა თვალი გაახილა და დაინახა: ბისკვიტის კოლოფში გახეთქილი აბრეშუმის პარკი გდია. კედელზე კი, მაგიდის ზემოთ, სწრაფად მიცოცავს შავი, დანაოჭებული, თაგვისხელა არსება. ის გაჩერდა, ექვსი შავი, ხაოიანი თათით კედელს ჩაებღაუჭა და საშინელი კანკალი დაიწყო. ის იმიტომ გამოძვრა, რომ მწუხარებისგან დაუძლურებულმა ადამიანმა რკინის ყუთი თავისთან, თბილ ოთახში გადმოიტანა, ის გამოიჩეკა იმიტომ, რომ აბრეშუმის პარკის დაჭიმული ნაპრალიდან სითბომ შეაღწია, ის იმდენხანს უცდიდა ამას, ისე დაძაბული აგროვებდა ძალებს და აი ახლა, უკვე გამომძვრალი, ნელა და საუცხოოდ იზრდებოდა. მშვიდად იშლებოდნენ მოჭმუჭნულნი ნაკუწები, ხავერდის ღოჩეები, ჰაერით ივსებოდნენ და მაგრდებოდნენ მარაოსებრი ძარღვები. ის შეუმჩნევლად დაფრთიანდა, ისე, როგორც შეუმჩნევლად მშვენიერდება დავაჟკაცებული სახე და ჯერ კიდევ სუსტი, ნოტიო ფრთები აგრძელებდნენ ზრდას, სწორდებოდნენ, აი, ღმერთის მიერ დაწესებულ ბოლომდე გაიშალნენ და კედელზე კოშტის, ზედ თაგვის ნაცვლად უკვე იყო ვეებერთელა ღამის პეპელა — ინდური პარკხვევია, რომელიც ბინდბუნდში ჩიტივით დაფრინავს ბომბეის ფარნების გარშემო.

და მაშინ შორს გაწვდილმა, ბოლოებში მოღუნულმა მუქ-ხავერდოვანმა ფრთებმა ოთხი ქარსიანი წინწილი, თითქმის ადამიანური ბედნიერებით აღვსილმა ნაზად, საუცხოოდ ამოისუნთქა.

თარგმნა **ნათია გვასალიამ**

# პოეზია

ვასილ ბეწელია



* * *

ჟინი შემრჩა უფრო მეტად
წარსულიდან გადმოხედვის,
რაც შემეძლო გელოდე და,
რაც შეგეძლო არ მოხვედი...

გაილია ისე უცებ
წლები, როგორც კვესაბედი,
რაც შეგეძლო — იკვკლუცე,
რაც შემეძლო —
შეგაბერდი.

* * *

მსურდა ასე თუ
ასე არ მსურდა...
მერე კი წლებმა
გზები დანალმა...
მე მაშინ ვიყავ
ძალიან ცუდად
და ყველაფერზე
ვიყავ თანახმა.

სადღაც სამარის
ვიყავ მახლობლად
ჭირისუფლის და
ბასის თანხლებით...
მას მერე ვფიქრობ,
და იმ თანხმობას
მთელი სიცოცხლე
არ ვეთანხმები.

* * *

უბის წიგნაკში
ლექსები კვნესენ
და ვერ მალავენ
ასახდენ სურვილს...
რა იცის ქმარმა —
იმ მწარე ლექსებს,
რომ უკანონო შვილივით უვლი...

* * *

ღამეა ძველი
და დაძენძილი
და ელვასავით შენი მზე უვლის...
მე მეშინია,
რომ დამეძინოს
და დამესიზმროს შენი სხეული.

გიგონებ შორით...
და სიკვდილამდი
ალბათ წყურვილი
მომკლავს ფარული —
შემოდიოდა სულში ვიკალდი
და ტკივილამდე იყავ ქალური.

ახლა იწვება
ღამე ძეძვივით,
ოცნების კვამლში გამოხვეული...
...მე მეშინია,
რომ დამეძინოს
და დამესიზმროს
შენი სხეული...

* * *

გშორდები...
ღმერთიც ვერაფრით მიხსნის,
მე ახლა მრუმე ნისლებში ვწევარ...
ასე
აღებულს ჟინით და რისკით
მთასვლელი ტოვებს სანუკვარ
მწვერვალს.

გშორდები...
მიმაქვს ტკივილი ცალფა,
ვნებდები გამჩენს და თვალებს
ვხუჭავ...
ასე
ტოვებენ სამშობლოს ალბათ,
და მიწა მიაქვთ ორთოდ მუჭა...

* * *

თუმც ვარდებს ჩემთვის
აღარ ცალიათ
და კოჯრის გზებიც დანისლულია,
გიგონებ მაინც,
ისე ძალიან,
რომ მაისს შენი ტანის სუნი აქვს...

და მოლოდინით თუ არ ცახცახებს
შენი გულმკერდის ორი გვრიტა,
ეს მონატრება იქნებ არცა ღირს
არც გარუმებად,
აღარც ყვირილად...

არც იმ სიცოცხლით
ღირს აღტაცება
რასაც სიცოცხლის ფასად ვეცადე,
რადგან შორსაა —
მუხლზე დაცემას
ამაღლება რომ ერქვა ზეცამდე.

და აბურდული ბედის დავთრები
უფლის განგებით დანისლულია...
...მე ისე ვკვდები
და მენატრები —
სიკვდილსაც შენი ტანის სუნი აქვს...

* * *

აღარც სხვისი
აღარა ხარ აწი,
მწარედ მისდევ ბედისწერის ხარხარს,
არ შეადგენ
შენ არავის ნაწილს,
ესე იგი,
აღარც მთელი არ ხარ.

მე კი ემმა
იღბალივით მდევდა
და გავყევი
ნისლებიან მიმწუხრს,
ახლა მშვიდად მოგიყვები ხვედას,
მშვიდად გეტყვი —
გული როგორ მიწუხს;

შეგაგებებ
შენელებულ მაჯას,
ჟრუანტელი ჩავლილია უკვე,
ახლა ორი
ბარასკევი დარჩა
და ყველაფერს დაერქმევა უქმე.

* * *

თავდება ისე
ჩემი გზაშარა,
უკანასკნელი ვზა და ყინშათი,
რომ არც კი ვიცი,
ცრემლი გამშრალი
ვისი მემართა,
ანდა ვის მართებს...

ვის უნდა ვემშო,
ვინ უნდა მლუპოს,
ვის უნდა ვექცე
ერმად და მსახურად...
ვარ ისე, თითქოს
საკუთარ კუბოს
საკუთარ ხელით
ვარჭედ სახურავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თუ ჩემი გულის გული გეძებდა —
გაუქმებული ძველი საკირე...
გაკვირვებული
გიწერ ლექსებს და
ვიცი,
ლექსითაც ვერ გაგაკვირვებ...

შენს ცაზე დნება
თეთრი ღრუბელი
და ხმაში ისე თბილი ქარია...
ხარ ისე შორი
და დამღუპველი,
როგორც შუბერტის „ავე-მარია“...

რომ ისევ სული
და ხორცი ვგვემო,
ვუბერავ ლველფს და ცეცხლს
ვეწვალები;
ხომ შეიძლება
ხმას ჰქონდეს გემო,
ჰქონდეს ფერი და ჰქონდეს
თვალები...

თითების სითბოს
დაეძებს მაჯა,
(ასე ყინულზე ტირის მზის სხივი);
...და რაც შენამდე,
შენს იქეთ დარჩა,
მახსოვს
ცხვირიდან წამსკდარ სისხლივით...

ვარ ცოდვილივით
ცას მიბნეული
და მეცხრე ცაზე ბოლო ზარია...
...შენ კი თბილი ხარ
და მტკივნეული
როგორც შუბერტის „ავე-მარია“...

* * *

ჩემს დაწყვეტილს და
დახუჭულ თვალებს
ვილაც ცრემლების გემოს უწუნებს...
გარეთ ეკლებით დაჩხვლეტილ
მთვარეს
ღამე ზღარბივით მიაძუნძულებს.

მე ვფიქრობ ახლა
დაქანცულ გზაზე
და ვერ ვიხსენებ გზაზე ჩემიანს;
ისევ ჯიუტად
ვილაცას ვეძებ
და ვერ ვიპოვნო — ის მირჩევნია.

ისევ სიბნელეს
ვუმტერებ თვალებს
და ვწვავ ოცნების ბოლო
კუნძულებს...
...მწარე ეკლებით
დაჩხვლეტილ მთვარეს
ღამე ზღარბივით მიაძუნძულებს...

F-6714

## სახარება ყმაწვილთათვის



## შემცდარი ვაჟიშვილი

ერთ კაცს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა. უმცროსმა სთხოვა მამას, მიეცა მისთვის თავისი წილი მემკვიდრეობიდან. მამამ შეუსრულა წადილი. უმცროსი ვაჟი სამოგზაუროდ გაემგზავრა. უცხო ქვეყნებში იგი თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა და მთელი ქონება გაფლანგა. ბოლოს, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, ღორების მწყემსად დაუდგა ვილაცას. ჯამაგირი საჭმელშიც არ ჰყოფნიდა. ხშირად ღორის სალაფავით კმაყოფილდებოდა. მაშინღა გაახსენდა მამის სახლი. ინანა, რომ დატოვა იგი და საკუთარ თავს უთხრა: ბევრი ჰყავს მამაჩემს მოჯამაგირე; ყველა მათგანი მაძღარი და კმაყოფილია; ყველასა აქვს ბინა, დავბრუნდები მამის სახლში, მუხლებზე დავეცემი მის წინაშე და ვეტყვი: „მამა, შევცოდე მე ღმერთისა და შენს წინაშე. არა ვარ ღირსი ვიწოდებოდე შენს შვილად. ამას გთხოვ მხოლოდ. შენს მოჯამაგირეებში ჩამრიცხო“

ეს რომ გადაწყვიტა, მიატოვა უცხო მიწა-წყალი, დაბრუნდა სამშობლოში და მამის სახლს მიაშურა. მამამ იგი შორიდან დაინახა დაღლილ, ტანსაცმელშემოფლეთილი, შეეცოდა, შესახვედრად გაეშურა და გულში ჩაიკრა. მერე მისცა ახალი ტანსაცმელი და მსახურებს უბრძანა, მდიდრული სადილი მოემზადებინათ, რათა მისი დაბრუნება ედღესასწაულათ. უფროსმა ვაჟმა, სამუშაოდან დაბრუნებისას, სახლში ხმაური და მხიარული ხმები გაიგონა; ასეთი დღესასწაულის მიზეზი იკითხა. აუხსნეს, რომ მისი უმცროსი ძმის დაბრუნებას ზეიმობდნენ. უფროსმა ვაჟმა უსაყვედურა მამას, რატომ არასდროს მოუწყვია მის პატივსაცემად ასეთი ზეიმი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუდამ გულმოდგინედ შრომობდა ოჯახში. მაშინ მამამ უფროს ვაჟს უთხრა: „შვილო ჩემო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და ყველაფერი, რაც გამაჩნია — შენია. შენი ძმა კი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და დაბრუნდა. როგორ არ უნდა მიხაროდეს და არ ვიზეიმო?“

ამ იგავით ქრისტე გვეუბნება, რომ ღმერთი სიყვარულით ღებულობს მონანიე ცოდვილებს და დიდსულოვნად მიუტევებს მათ.



საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კაცი ცისფერი მთებიდან ანუ დაუჯერებელი ამბავი

70-იან წლებში ქართულ კინოში გაგრიმულ-გალამაზებული ეკრანის ვარსკვლავების გვერდით გამოჩნდა მაღალი, გამხდარი სრულიად ჩვეულებრივი ბიჭი, იმდენად ბუნებრივი, რომ ჩვენს გარშემო არსებული სიყალბის, თვალთმაქცობის, სიცრუის ფონზე არაჩვეულებრივად მოგვეჩვენა მით უფრო, რომ ამ ჩვეულებრივ ბიჭს არაჩვეულებრივად ფაქიზი და ძლიერი სული ჰქონდა.

კინოს მოყვარულები ალბათ მიმიხვდნენ, ვისზე მაქვს საუბარი.

დიახ, ეს გახლავთ რამაზ გიორგობიანი — ადამიანი, რომელსაც ყველა იცნობს, მის შესახებ კი თითქმის არაფერი იცის, უფრო მეტიც, მასზე ჭორებიც კი არ დადის.

მყუდრო ბინაში მასპინძელი მისი კინოგმირებისათვის („სერენადა“, „გიორგობისთვე“, „მხიარული რომანი“ „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“) დამახასიათებელი სიმშვიდითა და აუჩქარებლობით მიპასუხებს კითხვებზე.

**— ბატონო რამაზ, ერთობ პოპულარული ბრძანდებით. როგორი გრძნობაა პოპულარობა?**

— სხვისი არ ვიცი და, ჩემთვის ძალიან დამღლელი, როცა „ჩემ“ ფილმებს უჩვენებენ, ქუჩაში გასვლა აღარ მინდა, მანქანა არ მაქვს და ფეხით მიწევს სიარული. ხან მომიმღერებენ, ხან რაღაცას მომაძახებენ, ხან წინ გადამიდგებიან და ისე მიყურებენ.

თუმცა პოპულარობა რაღაც-რაღაცეებში „მეხმარება“ კიდეც. მაგალითად, მეხვეწებიან ურიგოდ პურის აღებას. მე, რა თქმა უნდა, უარს ვამბობ, მაგრამ ხანდახან უარი არ გამდის.

**— დღევანდელი რიგების შემხედვარე ყველა ინატრებდა პოპულარობას...**

**„მხიარული რომანის“ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ ბევრი თბილისელი გოგონა სოფლიდან ჩამოსულ ვაჟს გაჰყვა ცოლად და, როგორც ამბობენ, საკმაოდ სტაბილური ოჯახებიც შექმნეს. თქვენი გმირი რამდენად დაგეხმარათ დაქორწინებაში?**

— ჩემი გმირების დახმარება არ დამჭირვებია. ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. მე და ჩემი მეუღლე მეგობრების ერთ წრეში ვიყავით. ერთმანეთი შეგვიყვარდა და შევუღლდით.

**— თქვენი ოჯახის წევრებიც გაგვაცანით.**

— მეუღლე — ნინო ქიქოძე — ინგლისური ენის ლექტორია. უცხო ენათა ინსტიტუტში. შვილი — თინიკო იმავე ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია.

**— თქვენც იცით ინგლისური?**

— ისე, საყველპუროდ.

**— თქვენი მეუღლე ეჭვიანია?**

— არა მგონია. პირველად კი აღიზიანებდა ჩემი კინო-როლები, მაგრამ ახლა არ გამოხატავს.

**— თქვენ?**

— მე ნამდვილად არა ვარ ეჭვიანი. თუ გიყვარს, უნდა ენდობოდე კიდეც. ეჭვიანობით შეურაცხყოფას აყენებ საყვარელ ადამიანს.

**— პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: პოპულარული ხართ, თუმცა არ ჩანხართ. რატომ?**

— ეს ჩემი ბუნებიდან გამომდინარეობს. არ მიყვარს ხმაური. მაქვს ჩემი საქმე და იმას ვემსახურები. დღეს კი თუ გინდა, რომ ჩანდე, აუცილებლად პოლიტიკის ორომტრიალში უნდა ჩაება. ვერ ვიტყვი, პოლიტიკა არ მაინტერესებდეს, მაგრამ სწორად არ მიმაჩნია რეჟისორებისა და მსახიობების პოლიტიკოსობა. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

**— ამჟამად რას აკეთებთ?**

— რიგში ვდგავარ.

**— ?!**

— ბადრი ჭოხონელიძესთან ერთად დავწერე კინო-სცენარი. სპონსორის მოძებნა ძალიან გვიჭირს, ამიტომ ველოდებით, სტუდია როდის დაგვაფინანსებს.

**— არ გეკითხებით, მერამდენე ხართ-მეთქი, რადგან პირველი იქნება, ვისაც ჩხუბი, ყვირილი, სხვათა განზე გაწევა ეხერხება და კიდევ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი რამ... რაც თქვენს გმირებს ნამდვილად არ შეუძლიათ.

— არც მე.

— ღმერთმა ინებოს, რომ ფილმის გადაღება მალე დაიწყოთ, მაგრამ მანამდე?

— ხელოვნების აკადემიაში კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე კათედრის გამგე ვარ. ამჟამად მეორე კურსის სტუდენტებთან ვმუშაობ.

— ბევრმა მსახიობმა რეჟისორობა არჩია. რა არის ამისი მიზეზი?

— მიზეზი სრულიად მარტივია. რეჟისორი მართავს ყველაფერს, მათ შორის მსახიობსაც, რომელიც ფიქრობს, რომ როლი გაცილებით უკეთესი გამოუვიდოდა, მეტი თავისუფლება რომ ჰქონოდა. როცა მსახიობი რეჟისორი ხდება, გადასაღებ მოედანზე ყველაფრის სრული ბატონ-პატრონია, ყველა მის ბრძანებას ემორჩილება. თუმცა სიფრთხილე ჰმართებს და უნდა ერიდოს თავისივე ფილმებში მონაწილეობას, რადგან როლზე მუშაობას დიდი დრო მიაქვს და ბევრი რამ ყურადღების მიღმა რჩება. ჩემი საქმე ცოტა სხვაგვარად იყო. ორი წელი უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, შემდეგ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გადავედი, 1974 წელს კი თეატრალურ ინსტიტუტში თენგიზ აბულაძის და რეზო ჩხეიძის სახელოსნოში მოვეწყვე.

გადაღებული მაქვს ორი მხატვრული ფილმი: „მოდი, ვილაპარაკოთ", და „ლოლიტა". სიმართლე გითხრათ, მსახიობობა მენატრება, იმდენად უდარდელი პროფესიაა რეჟისორობასთან შედარებით.

— თქვენი პროფესიის კაცი კურიოზების გარეშე ვერ იქნება...

— ცოტა იუმორის გრძნობა მაკლია და კურიოზებს სერიოზულად აღვიქვამ.

— ყველას აქვს უბედნიერესი დღე. თქვენ უკვე გქონდათ იგი?

— უბედნიერეს დღეს ვერ დავარქმევ, მაგრამ სიურპრიზი მართლაც მრავლად მქონდა. ვთქვათ, მოულოდნელად ფილმში მიმიწვიეს, მოულოდნელად პრიზი მივიღე, ანდა საინტერესო შეხვედრა მელის, რაც ჩემს ცხოვრებას ელფერს ჰმატებს. ზოგჯერ უბრალო ტელეფონის ზარიც ახალისებს ადამიანს.

— ახალ წელს რას უსურვებთ ჩვენს მკითხველებს?

— მშვიდობას. ღმერთმა გადაგვარჩინოს. ახალმა წელმა სინათლის პატარა სხივი მაინც შემოიტანოს ჩვენს ყოფაში.

მარინე ნაკაიძე

# ემანსიპაციის უკიდურესობანი



ქალთა ემანსიპაციისაკენ სწრაფვამ მართლაც მახინჯი ფორმები მიიღო. ახლახან ამერიკელ სოციოლოგთა და ფსიქოლოგთა ერთმა ჯგუფმა უკანასკნელი ათწლეულის სოციალური დინამიკის ანალიზის საფუძველზე „იწინასწარმეტყველა". მომავალ თაობას ანდროგინიის საზოგადოებაში მოუწევს ცხოვრება, სადაც წაიშლება სხვაობა ქალსა და მამაკაცს შორის და ეს გამოხატულებას ჰპოვებს როგორც გარეგნულად, ასევე ფსიქოლოგიასა და ქცევაშიც. საოცარია, მაგრამ ამგვარ საზარელ პერსპექტივას არავინ გაუკვირვებია, რადგან, სამწუხაროდ, თანამედროვე მედიცინის მეშვეობით უკვე მრავალმა ქალმა პლასტიკური ოპერაციის წყალობით „აისრულა" ოცნება და იქცა „მამაკაცად".

ჭეშმარიტად, „ადამიანის სისულელის წინააღმდეგ ღმერთებიც კი უძლურნი არიან".

უფალმა კი ადამის მოდგმა უპირველესად დაჰყო არა ეროვნული, რასობრივი თუ სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით, არამედ მამაკაცებად და ქალებად და იმ დროიდან მოყოლებული მათი ერთმანეთისადმი ურთიერთლტოლვა და ურთიერთჭიდილი წარმართავს კაცობრიობის მომავალს. „მამაკაცი და ქალი ის ორი ნოტია, „ურომლისოდაც ადამიანის სული სრულ და სწორ აკორდს ვერ შექმნის", მაგრამ ხდება ისეც, რომ ადამიანის დაბნეული სული დროდადრო ივიწყებს თავის უმთავრეს დანიშნულებას და გარე სამყაროს მავნე ზემოქმედების შედეგად განუდგება ღვთისაგან ნაბოძებ თვისებებს. „მორალური შერყევა" უწოდა ჯეიმს პრიჩარდმა ბუნებისაგან განდგომით „მიღწეულ" სიმახინჯეებს, რომლის ერთ-ერთი გამოვლინებაა ემანსიპაციის უკიდურესობანი.

მოძრაობა ქალთა უფლებების დასაცავად 1789 წ. დაიწყო ევროპაში და თავდაპირველად საკმაოდ უწყინარი და სავსებით მისაღები ფორმით მიმდინარეობდა; როგორც კი გამოქვეყნდა „ადამიანის უფლებების დეკლარაცია", მას იქვე მოჰყვა ოლიმპია დე გუჟის „ქალის უფლებების დეკლარაცია", რომელიც ქალის არჩევნებში მონაწილეობასა და თანამდებობაზე დაშვების უფლებას მოითხოვდა. და თუმცა ემანსიპაციისკენ პირველი ნაბიჯები უშედეგო აღმოჩნდა, 1800 წლიდან მოყოლებული ფემინისტთა ბრძოლა მაინც აღმავლობის გზით წავიდა და დროთა განმავლობაში მრავალი მომხრე შეიძინა.

რუსეთში ქალთა ემანსიპაციას პეტრეს რეფორმებმა დაუდო სათავე (პეტრეს ანსამბლეები), რაც იმპერატრიცებმა საკმაო სიმაღლემდე აიყვანეს.

სხვადასხვა დროს ქალთა უფლებების დაცვას ძალისხმევა არ დააკლეს ფლობერმა, გი დე მოპასანმა, ჟორჟ სანდმა, ტოლსტოიმ, კუპრინმა და სხვ. და თუმცა დროთა განმავლობაში ლოზუნგმა: „გაუთანაბრდით მამაკაცებს!" ცხოვრებაში განხორციელება ჰპოვა, ფემინისტური მოძრაობა მიღწეულით არ დაკმაყოფილებულა, ამჯერად მათი მიზანი გახდა იმ სანუკვარი ოცნების ახდენა, როცა „კლასობრივ და რასობრივ განსხვავებასთან ერთად მოისპობოდა სქესთა შორის განსხვავებაც".

ის, რომ მსგავს ფანტასტიკას რეალობად ქცევის შანსი გააჩნდა საზოგადოებას ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აფრთხილებდა ცნობილი ავსტრიელი მკვლევარი, თავის დროზე გახმაურებული წიგნის „სქესისა და ხასიათის" ავტორი ოტტო ვაინინგერი. „დასავლეთის ცივილიზებული სამყაროს ზოგიერთ რეგიონში გარკვეული ციკლურობით თავს იჩენს ფემინისტი ქალების

ე. წ. „თანასწორუფლებიანობისათვის“ მოძრაობა. მათ ქცევაში მამაკაცური ღირსებების — ხასიათის სიმტკიცის, სიმამაცის, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარის გვერდით თავს იჩენს სუფთა მამაკაცური მიდრეკილებანიც — სიგარეტისა თუ ალკოჰოლისადმი ლტოლვა, ბილწსიტყვაობა, მანერებსა და ქცევაში თავაშვებულობა, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სექსუალური ურთიერთობისადმი (შვილოსნობის უარყოფამდეც კი) და ა. შ. გარეგნობაშიც ეს ქალები უარყოფენ ყოველივე „ქალურს“, მჭიდროდ იზღუდავენ გულმკერდს, თმებს, ხიამოვნებით ილებენ მამაკაცურ ატრიბუტებს — ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ჩვევებს. უკვე 50-იან წლებიდან მოყოლებული ჩვენს „დიად სამშობლოშიც“ ემანსიპირებულმა, დამოუკიდებელმა მანდილოსნებმა „მიაღწიეს“ იმას, რომ ორსულობის საწინააღმდეგო საშუალებებით აღჭურვილებმა „დიად საქმეებს“ შესწირეს ქალურობა, რაც უდავოდ ოჯახზე, მეუღლეზე, შვილებზე დამოკიდებულებას გულისხმობს.

ქალის ცოდნა-განათლებისა თუ პროფესიული დაოსტატების დონე მართლაც გაუთანაბრდა მამაკაცისას. საზოგადოებამ ამით შეღავათი ვერ მიიღო, რადგან სამომავლოდ მას ხელში შერჩა დაკომპლექსებული, მარტოხელა ქალები, დანგრეული ოჯახები, ტრავმირებული, არასრულფასოვანი ბავშვები, გაუარესებული დემოგრაფია და სხვ. მაშინ არავინ უწყოდა, უფსკრულის პირას მივიდნენ თუ მართლა გადავიდნენ „სრულყოფის ახალ ფაზაში“, რადგან ემანსიპაციით გატაცებულებს შედეგების გაანალიზებისათვის არ სცხელოდათ. დღეს კი ბევრი მათგანი ცდილობს გაარკვიოს, თუ რა და რამდენი დაიკარგა ემანსიპაციის გრძელსა და ვერაგ გზაზე. ფემინისტები ხომ რამდენიმე საუკუნის მანძილზე უარყოფდნენ ქალის ისეთ სულიერ თვისებებს, რაც დასაბამიდან ახალშობილთან ურთიერთობის შედეგად გამოუმუშავდა მდედრობით სქესს და რაც ჩაიწერა გენებში — კდემა, სირბილე, სინაზე, შემწყნარებლობა, თანალმობა და ა. შ. ყველა ის, რასაც „ქალური იდეალი“ ჰქვია, მაგრამ ალბათ შეუძლებელია გაანადგურო ცხოვრების ორგანული, ბიოლოგიური პრინციპები ზნეობის ყველაზე ხელშეუხებელი ფორმების გაუნადგურებლად. ამიტომაც დიდმალი ზნეობრივი დანაკარგი განიცადა საზოგადოებამ ემანსიპაციით ამგვარი გატაცების გამო. საეჭვოა ვინმეს რაიმე ღირებული მიეღოს „[illegible] სქესის“ არსებისაგან, რომელიც ამოვარდა „ბუნებრივი წესრიგიდან“ და ვერ გარკვეულა თავის რაობაში, ვინაობაში თუ დანიშნულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ახალშობილ გოგონაში უდაოდ დევს ქალად ქცევის შესაძლებლობა, უარყოფითმა ზეგავლენამ შეიძლება ეს შესაძლებლობა არად აქციოს და ქალიც დაემსგავსოს იმ ფრინველს (ავსტრალიური კივი-კივი), რომელსაც ფრენა არ შეუძლია, რადგან ადამიანის ბიოლოგია, ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია ისეა შედუღაბებული, რომ ერთ-ერთის დამახინჯება ამგვარ ხეიბრობას იწვევს. მაგ. მედიცინაში ცნობილია შემთხვევა, როცა ტყუპის ცალს უბედური შემთხვევის გამო გაუკეთდა სასქესო ორგანოს ამპუტაცია და ამდენად, დაბადებით ბიჭის აღზრდა საჭირო შეიქმნა როგორც გოგოსი, მაგრამ საბოლოოდ მისგან მაინც ჩამოყალიბდა არასრულფასოვანი გოგონა, ყმაწვილის ტემპერამენტითა და ჩვევებით.

ასე რომ, ათასი ჯურის პროგრამებმა, პოლიტიკურმა პლატფორმებმა, რევოლუციურმა მოძრაობებმა, მეცნიერულმა პროგრესმა თუ „ჰუმანიზმისა და დემოკრატიის“ მქადაგებლებმა ვერ შესძლეს ისე „გაეთავისუფლებინათ“ ქალი, რომ ზედ ქალურობა არ მიეყოლებინათ და ამით ათასი უბედურება არ მოემკოთ, — დაწყებული ქალთა ნევროზებით, სპეციფიკური დაავადებებით, გაუბედურებული მოზარდებითა და ულმობელი, სასტიკი მსოფლიოთი დამთავრებული.

მაშინ ვერავინ, ვერც ის „დაჩაგრული“ ქალები, რომელთა ერთადერთი ფუნქცია შვილების შობასა და აღზრდაში მდგომარეობდა, ივარაუდებდნენ, რომ ამ „მავნე ტრადიციებისაგან“ გათავისუფლება ასე მწარედ შემოუტრიალდებოდათ. ახლა კი ეს განათლებული, ემანსიპირებული „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები მზად არიან კვლავ მოექცნენ „ცრურწმენათა ტყვეობაში“, ქალები მზად არიან შეასრულონ თვით ყველაზე უაზრო რიტუალიც კი, ოღონდაც დაიბრუნონ ქალურობა და „ქალურობის უფლება“.

„უკან დუშეჩკასაკენ“! ჩეხოვის ყბადაღებულ გმირ ქალს დუშეჩკას ხომ მოზღვავებულად გააჩნდა ყველა ეს თვისება, რომლის დაკარგვას ასე მისტირიან მამაკაცებიცა და ქალებიც. უკიდეგანო სიყვარულისა და ერთგულების უნარი, ქალური ალტრუიზმი, საკუთარი ინტერესების არად ჩაგდება საყვარელი ადამიანის და ოჯახის სასარგებლოდ.

**მანანა კეიდია**
ჟურნალისტი



• იუმორი •

# ბიჭის ოცნება

როცა ტირილს მოვრჩი, ვთქვი: — სხვა ბიჭებს მამებისგან საჩუქრად ჯაყვებს, ბურთებს, ველოსიპედებს იღებენ, მე კი დედას მჩუქნიან.

მამამ მითხრა, რომ ის დედა უვარგისი გამოდგა და ამიტომ იძულებულია, ჩემთვის სხვა დედა მოძებნოს. იგი ყოველთვის ასე მეუბნება და მპირდება, რომ ახალი დედა უფრო უკეთესი იქნება, ვიდრე ძველი. ეს სულაც არ არის ასე. იმიტომ, რომ დედა, რომელიც ამ დედამდე წინ მყავდა, პიანინოზე უკრავდა და ამით იყო დედაჩემზე უკეთესი, ხოლო ის დედა, რომელიც ყოველდღე ნაყინისთვის ფულს მაძლევდა, არ იყო ცუდი, მაგრამ მამა ამბობდა, მეტისმეტად გამხდარიაო. ვერ გავიგე, თადრუსის გამხდარი დედა რატომაა კარგი, ჩემი კი — არა.

მამა ვერ იტანდა იმას, რომ დედა ბევრ ფულს ხარჯავდა, მომდევნო დედა სულაც არ მაძლევდა ფულს ნაყინისთვის. იგი ფულს ინახავდა. ხოლო იმ დედაზე, რომელიც მე ზღაპრებს მიყვებოდა, მამამ თქვა, კარგია, რომ ეს დედა აღარ მეყოლება, იმიტომ, რომ ის არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც მას ეგონა. მამაჩემი მართალი იყო, რადგან იმ დედას პირველად სულ სხვა ფერის თმა ჰქონდა და ბოლოს — სულ სხვა. ის დედა მე არ მეცოდებოდა, მაგრამ მისი მომდევნო კი მეცოდებოდა, იმიტომ, რომ ტიროდა. იმ დედის შემდეგ, როცა სხვა დედა მყავდა, ნაძვის ხე მქონდა, ნაძვის ხეზე სალამოს კამფეტები და შოკოლადები ეკიდა, მაგრამ დილით დედა უკვე აღარ დამხვდა. როცა ესეც ახალი დედა მოვიდა, ჯაყვა მაჩუქა. ძალიან გამეხარდა, მაგრამ მეშინოდა, ვაი თუ ესეც წავიდეს და ჯაყვაც წაიღოს-მეთქი. ასეც მოხდა. მამა ახალ ჯაყვას შემპირდა, დილამდე არ დამეძინა — ლოდინით — მამამ მართლაც მომიტანა ახალი ჯაყვა და მითხრა, რომ ახალი დედაც მალე მეყოლება. მე კი მხოლოდ ჯაყვა მინდოდა, მხოლოდ ჯაყვა უდედოდ. აღარ მინდა ახალი დედა, არა! — და ისევ ავტირდი.

თარგმნა **ინგა კაკაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცოლ-ქმარი — მინადორა თურქია და აკაკი ხოშტარია

# სიყვარული ქმნის სასწაულებს



ამ ქვეყნად მშვენიერების სიმბოლოდ ოდითგანვე ქალი იყო მიჩნეული, ქალი — სიცოცხლის მომნიჭებელი და გადამრჩენი.

ქალისადმი სიყვარული სიცოცხლის ქვაკუთხედია. ნეფერტიტმა, უმშვენიერესმა დედოფალმა შორეული წარსულიდან (ძ. წ. 1400-1360 წლ) თავისი მომხიბვლელობით დაიმონა მზის ქალაქის აღმშენებელი, ეგვიპტის ძლევამოსილი ფარაონი —ეჰნატონი. ოჯახური და სახელმწიფოებრივი ბედნიერების სიმბოლოდ იყო ქცეული მათი სიყვარული და საზიარო ძალაუფლება. ეჰნატონი ხელოვანთა მფარველად და შთამაგონებლად ითვლებოდა. მისი სურვილით შეიქმნა ნეფერტიტის ოცდათერთმეტსანტიმეტრიანი თავის ქანდაკი. დღეს იგი ბერლინის მუზეუმშია და ითვლება ყველა დროის შედევრად. ფარაონის საფლავზე ამოკვეთილია მშვენიერი ლექსი, მიძღვნილი სათაყვანებელი ნეფერტიტისადმი. „მე მიყვარს ტკბილი სუნთქვა შენი კოხტა პირისა". „ყოველდღე მხიბლავს, სანუკვარო, მშვენება შენი". მართლაცდა, ეს კირქვის დედოფალი უმშვენიერესია ქალის ყველა გამოსახულებას შორის. ასე მიაჩნიათ ხელოვნებათმცოდნეთ.

ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა საყვარელ ცოლს, მიდიის მეფის ასულს თავისი სასახლის გვერდით აუშენა დაკიდებული სემირამიდას ბაღები, ქვეყნის ერთ-ერთ საოცრებად მიჩნეული, რომელიც გაშენებული იყო ოთხიარუსიან კოშკის თავზე. ტერასებად დაგეგმილი იარუსები საფეხურებივით ადიოდა მაღლა და უერთდებოდა ერთმანეთს. საზღაპრო იყო მტკიცე კოლონადების თავზე დაკიდებული ამ ბაღების სილამაზე. აქ მოეზიდათ ძვირფასი მცენარეები: ტანმაღალი პალმები და განსაცვიფრებელი ჯიშის მწვანე მაღალი ხეები, რომლებიც დედოფალ სემირამიდას მოაგონებდნენ შორეულ სამშობლოს. ბაღები ისე იყო აგებული, რომ პირდაპირ სცემდა ჩრდილი — დასავლეთის გრილი ქარი, მათი სურნელება, და სიგრილე უტყეო და გამშრალ ბაბილონში სასწაულად ეჩვენებოდათ ადამიანებს. ამ დაკიდებული ბაღების სიგრილეს შეაფარა თავი სიცოცხლის ბოლო დღეებში ალექსანდრე მაკედონელმა.

თუ უძველესი დროის მოკვდავნი გვაოცებდნენ ამგვარი სასწაულმოქმედი მაგალითებით, საუკუნის დასაწყისში გაგვაოცა ცნობილმა ქართველმა მრეწველმა, ქველმოქმედმა, მეცენატმა, საზოგადო მოღვაწემ და ემიგრანტმა აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიამ (დაბ. 1873 წელს აბაშაში, სოფ. სუჯუნაში) ეს ის ხოშტარიაა, რომელმაც დავით სარაჯიშვილისაგან შეიძინა სახლი, ოთხ წელიწადში მდიდრულად მოაწყო იგი და 1919 წელს ქართველ მწერალთა საზოგადოებას გადასცა. ეს ის კაცია, რომელსაც სტამბულში თავისი ბანკი ჰქონდა და გაჭირვებაში მყოფ ბევრ ქართველ სტუდენტს უმართავდა ხელს. იგი ოციან წლებში საკუთარი ფულით ყიდულობდა ხორბალს და ბაქოზე გავლით დამშეულ საქართველოში აგზავნიდა. მან შეიძინა აუქციონზე ლადო გუდიაშვილის და ანდრე ლოტის-კუბისტის სურათები და საქართველოს გამოუგზავნა. აკაკი ხოშტარიამ ნიკო ნიკოლაძესთან ერთად საკუთარი სახსრებით გაიყვანა რკინიგზა ფოთიდან აბაშამდე. მან თავის საყვარელ მეუღლეს მინადორა თურქიას გარდაცვალების შემდეგ, 1924 წელს, პარიზში ტბის შუაგულში მოქცეულ მიწაზე აუშენა სამსართულიანი ზღაპრული აკლდამა.

... გარდაცვალების დღეს, დილით მინადორას კარტში სიკვდილის მომასწავებელი ყვავის ცხრიანი ამოსვლია და საღამოს მართლაც გარდაცვლილა ინფარქტით. 1939 წლამდე ცხედარი განსაკუთრებული ბალზამით იყო მუმიფიცირებული, რომლის სპეციალისტები აკაკიმ ეგვიპტიდან მოიწვია. აკლდამას გადაფარებული აქვს ფარჩა, რომელზედაც ირანელი ოსტატების ხელით ამოქარგულია ყვავის ცხრიანი. კედლები მოხატულია ძვირფასი ხატებით, სურათებით. აქ უყვარდა მოსვენება აკაკის, რასაც ფოტოსურათები ადასტურებს. აკაკის და მინადორას ქალიშვილი მარიამი (მუსინკა ხოშტარია) სულ 6 წელია რაც გარდაიცვალა პარიზში 70 წლის ასაკში. მარიამის პირველი მეუღლე იყო ვინმე ინგლისელი ლორდი, ხოლო მეორე მეუღლე, მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანელი, ამჟამად ცოცხალია, ცხოვრობს პარიზში და მუშაობს იუნესკოში. მათი ერთადერთი ქალიშვილი ქეთი ბაგრატიონ-მუხრანელი მამასთან ერთად ცხოვრობს პარიზში.

**დამანა მდივნიშვილი**

ავტორს აკაკი ხოშტარიას შესახებ ცნობები მიაწოდა ისტორიკოსმა ლადო მიქელაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა






ხელსაქმე

# ბავშვის კომბინეზონი



Თუ მოინდომებთ და ცოტა ფანტაზიას მოიშველიებთ, ბავშვის მშვენიერ კომბინეზონს შეკერავთ, რისთვისაც შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი მეუღლისათვის უკვე უვარგისი პერანგი, თქვენთვის უვარგისი კაბა, ქვედა ბოლო და სხვა. აირჩიეთ ქსოვილის კარგად შენახული ადგილები, თუ არ გეყოთ, შეავსეთ შესაფერისი სხვა ქსოვილის ნაჭრებით. პატარებს ძალიან უხდებათ უჯრებიანი სახის ქსოვილები. მაგალითად, თუ გაქვთ წითლით, ლურჯით და თეთრით შეფერილი ქსოვილი, შეგიძლიათ გააწყოთ ლურჯით ან წითლით. ზამთრისათვის კი თბილი ქსოვილი შეარჩიეთ.

ნახატზე მოცემული თარგი ჯერ ქაღალდისაგან გამოჭერით, შემდეგ კი ქსოვილზე გადაიტანეთ, თარგი 2 სანტიმეტრით უფრო დიდი გამოჭერით· რათა მანქანის ნაკერი ზუსტად თარგის ხაზს დაემთხვეს· თარგის ზომა განსაზღვრულია სამი — ხუთი თვის ასაკის ბავშვისათვის, ყოველ შემთხვევაში თარგი წინასწარ მოაზომეთ ბავშვს, რათა კომბინეზონი პატარა არ აღმოჩნდეს; ხშირად ამ ასაკის ბავშვის გაბარიტები განსხვავებულია:

კომბინეზონს შეგიძლიათ ჯიბე ან რაიმე აპლიკაცია დააკეროთ. სახელოები მაჯებთან და შარვლის ბოლოები სუსტ რეზინზე აასხით. შეიძლება მანჟეტებიც დააკეროთ, რაც სახელოებს და შარვალს უფრო დააგრძელებს. როდესაც შარვლის ბოლო რეზინზეა ასხმული, მაშინ ბავშვს ტერფი გარეთ რჩება, ამიტომ კარგი იქნება თუ შესაფერის წინდას ჩააცმევთ, ან კომბინეზონის ბოლოებს რამდენიმე სანტიმეტრით უფრო გრძელს გამოჭრით. ასეთ შემთხვევაში გაითვალისწინეთ ბავშვის ფეხის სიგრძე. შარვლის ბოლოები მოანაოჭეთ, კოჭებთან კი რეზინი ან ზონარი გაუყარეთ·

თარგზე· შარვლის კიდეებზე გამოსახული ტალღოვანი ხაზები ნაოჭებს აღნიშნავს. კომბინეზონი უკან ელვით ან ღილებზე იკვრება. ღილები კი ძაფის მარყუჟებით შეიკვრება.

თამარ გეგეჭკორი

ქსოვა



# ჩვილი ბავშვის ჩასაცმელი

**მასალა:** 200 გრ შალის მსხვილი ნართი, ჩხირები № 3, 5, ელვა 20 სმ.

**ქსოვის სახე:** მოჭერილი რეზინი IXI, რომელიც ასე იქსოვება: მოქსოვთ რეზინის IXI (I წალმა, I უკუღმა) 3 რიგს, მეოთხე რიგზე წალმა თვალს ჩვეულებრივ წალმა გამოქსოვთ, უკუღმას კი გამოქსოვთ ქვემოთ მესამე თვალში ე. ი. ორი რიგით ჩარღვეულ თვალს გამოვქსოვთ უკუღმა ქსოვით. ნაქსოვი მოჭიმული რეზინის სახეს ღებულობს, ლამაზია და თბილი.

კომბინეზონი იქსოვება ქვემოდან ზემოთ.

**ზურგი**

ჩხირებზე აკრიფეთ 45 თვალი და დაიწყეთ ქსოვა მოჭერილი რეზინით ისე, რომ ყოველ მეორე გავლაზე ორივე ნაპირას უმატეთ თითო თვალი, სანამ 65 თვალს არ მიიღებთ ე. ი. 20 თვალი უნდა მიუმატოთ, თითოეულ გვერდზე 10-10 თვალი. კალთის გვერდები მომრგვალებულ ფორმას მიიღებს. განაგრძეთ ქსოვა უცვლელად 55 სანტიმეტრამდე, შემდეგ ყველა თვალი ერთბაშად დახურეთ.

**წინა კალთა**

ისევე იქსოვება, როგორც ზურგი, ოღონდ ბოლოდან 30-ე სანტიმეტრზე ნაქსოვი გაყავით შუაზე და თითოეული ნახევარი ცალ-ცალკე მოქსოვეთ სწორად, უცვლელად. ბოლოდან 50-ე სანტიმეტრზე გააკეთეთ ყელის ჭრილი: ერთბაშად დახურეთ 10 თვალი, შემდეგ — 3, 2, 1 და განაგრძეთ ქსოვა. 8 სმ შემდეგ ერთბაშად დახურეთ თვლები, მიიღებთ მხრის ხაზს. ასევე მოქსოვეთ მეორე გვერდს.

წინა და უკანა კალთები ერთმანეთს მიაკერეთ მხრების ხაზებზე. გვერდები ჯერ არ ჩაკეროთ. ბოლოდან 38-ე სმ-ზე სახელოსათვის გვერდით ნაწიბურზე ამოკრიფეთ 60 თვალი და დაიწყეთ სახელოს ქსოვა თვლების თანდათანობითი კლებით 17 სანტიმეტრამდე. თვლების რაოდენობა 45-მდე შეამცირეთ და დაიწყეთ ქსოვა ჩვეულებრივი რეზინით IXI. 7 სმ ქსოვეთ პირდაპირ უცვლელად, შემდეგ გადადით წინდურ ქსოვაზე, თან თვლები ორჯერ შეამცირეთ ე. ი. 22 თვალით განაგრძეთ ქსოვა ისე, რომ ყოველ მესამე რიგზე უკლოთ ყოველი მესამე თვალი და მაჯიდან დაახლოებით მე-10 სანტიმეტრზე 5 თვალით დაამთავრეთ თათის ქსოვა.

**კაპიუშონი**

საყელოს ნაწიბურზე ამოკრიფეთ 80 თვალი და ქსოვეთ 20 სმ უცვლელად და დაასრულეთ ქსოვა არა თვლების დამაგრებით, არამედ კაპიუშონის თავი გაკერეთ უშუალოდ თვლებში ნართის გაყრით. ნაკერი შეუმჩნეველი ხდება.

დამთავრებული კალთები ლამბით შემოაკერეთ ერთმანეთს, შემდეგ ირგვლივ ამოკრიფეთ დაახლოებით 200 თვალი და მოქსოვეთ ორმაგი კანტი (5 რიგი წინდურად, I დაკბილული რიგი ე. ი. I ნამატი, 2 ერთად და კვლავ 5 რიგი წინდურად). კანტის თავისუფალი ბოლო ირგვლივ ფაქიზად შემოაკერეთ ნაქსოვს. ამის შემდეგ გაკერეთ სახელოები ისე, რომ დახურული თათები მიიღოთ. კაპიუშონის წინა ნაწიბურსაც დაკბილული კანტი შემოაქსოვეთ. წინა კალთას ელვა მიაკერეთ. კაპიუშონს ამშვენებს შესაკვრელი ფუნჯები.

**ლატავრა თეთრაული**



# კულინარია

## სტაფილოიანი ხაჭოკვერა

ჭაგრისით გარეცხილი სტაფილო გათალეთ, გადაავლეთ ანადუღარი წყალი, დაფხიკეთ სახეხზე, კარაქთან ერთად მოათავსეთ მომინანქრებულ, სქელძირიან ქვაბში, შედგით ნაზ ცეცხლზე და მოშუშეთ. (თავდახურულ ჭურჭელში). შებილებულ, მოშუშულ სტაფილოს დაუმატეთ მანანას ბურღული, კარგად აურიეთ და განაგრძეთ მოშუშვა 10 წუთი. შეგრილებულ სტაფილოს შეურიეთ ნახევარი კვერცხი (ცილაც, გულიც), სიროფი, მარილის ხსნარი, შეურიეთ საცერში გატარებული ხაჭო, კარგად დაზილეთ, გადაიტანეთ ფქვილმოყრილ ფიცარზე, გაყავით რამდენიმე ტოლ ნაწილად, გაარტყელეთ, მოათავსეთ ტაფაზე და შეწვით ნაზ ცეცხლზე. სუფრაზე მიტანისას მორთეთ არაჟანით.

მასალა: ხაჭო 120 გრამი, კარაქი 15 გრამი, სტაფილო 50 გრამი, ნახევარი უმი კვერცხი, მანანას ბურღული 5 გრამი, პურის ფქვილი 15 გრამი, არაჟანი 30 გრამი, შაქრის სიროფი 15 გრამი, მარილის ხსნარი 3 გრამი.

## ხაჭო ქიშმიშით, დაშაქრული ქლიავით ან ჭერამით

ახალ ხაჭოს შეურიეთ არაჟანი, სიროფი, ქიშმიში ან წვრილად დაჭრილი ჭერამი ან ქლიავი. დაზილეთ კარგად, მოათავსეთ შესაფერის თეფშზე, მიეცით ლამაზი ფორმა და მიართვით პატარას საუზმეზე ან ვახშმად.

## სავზიანი კვერცხულა

**მრავალნაირ მწვანილეულს დაახლით კვერცხებს, ცხელ ტაფაზე დადებთ 3-4 სუფრის კოვზ ერბოს, დაასხამთ გაზავებულ მასას, შეწვავთ. გადააბრუნებთ მთლიანად, შებრაწავთ მეორე მხრიდანაც და „ხავზიანი" ერბოკვერცხი მზად არის.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამომცხვარი მაკარონი

300 გრ. მაკარონი, 1/4 შეკვრა კარაქი, 1/5 ჭიქა რძე, 3 კვერცხი, მარილი 2/3 ჭიქა შაქრის ფხვნილი.

1 ლიტრა ადუღებულ წყალში მოხარშეთ მაკარონი, გადაიტანეთ შესაწვავ ჭურჭელში, დაამატეთ კარაქი, კვერცხი ათქვიფეთ შაქარში, დაუმატეთ ცხელი რძე და გადაასხით მაკარონს. აურიეთ და გამოაცხვეთ ცხელ ღუმელში, სანამ ოქროსფერ ფერს არ მიიღებს. შეგიძლიათ მოაყაროთ შაქრის პუდრა, ხოლო კვერცხში უქნათ ცოტაოდენი ვანილი.

## მაკარონი (ან ვერმიშელი) ხოკოთი

1 კილო მოხარშული, დაჭრილი ხოკო 2-3 თავი წვრილად დაჭრილ ხახვთან ერთად მოშუშეთ ნებისმიერ ცხიმში, 600 გრამ მოხარშულ მაკარონს ან ვერმიშელს გადაავლეთ მდუღარე წყალი, გაწურეთ, შეურიეთ მოშუშულ ხოკოს, შეაზავეთ მარილით და შავი პილპილით, მოათავსეთ ბრტყელძირიან ტაფაზე, მოასხით ზემოდან 2-3 ათქვეფილი კვერცხი და შედგით ღუმელში იმ დრომდე, ვიდრე კვერცხი არ შეიბრაწება. სუფრაზე მიტანისას მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი და კამა.

## შვინდის ვაჟინიანი „ბასტურმა“

1-2 კილო სამწვადე ღორის ხორცი დაჭერით, მოასხით შვინდის ვაჟინინი, დაამატეთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, კარგად აურიეთ. მოათავსეთ კოქონში, მომინანქრებულ ქვაბში ან მინის ქილაში და შეინახეთ ბნელ და გრილ ადგილზე. 5-6 დღის შემდეგ ხორცი სამწვადედ მზადაა.

# კროსვორდი





**ჰორიზონტალურად:** 7. ფილიპინების არქიპელაგის სამხრეთით მდებარე კუნძული. 8. ბრაზილიის მდინარე. 9. ძველი ქართლის სამეფოს სამხ.-აღმ.-ის განაპირა პროვინცია — საერისთავო. 10. ხარისხი, თანრიგი. 12. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში. 14. კოლექტიური შუამდგომლობა. 17. ესპანეთის ქალაქი. 18. საესტრადო ანსამბლ „ბითლზების“ ერთ-ერთი წევრი. 19. ფულის ერთეული ესპანეთსა და პორტუგალიაში მონარქიული მმართველობის დროს. 22. ებრაელთა კულტის მსახური. 23. ანაბეჭდის მისაღებად რაიმე მასალაზე პირუკუღმა ამობურცული გამოსახულება. 24. ხმოვანთმონაცვლეობა. 27. მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა. 29. ორივე მხრიდან ზღვაში შეჭრილი ნაგებობა გემის მისადგომად. 30. ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში ფართოდ გავრცელებული ეპიკური თქმულების ციკლი. 31. ჩილელი პოეტი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 32. ადამიანის ან ცხოველის პატარა ქანდაკება.

**ვერტიკალურად:** 1. კეთილი განწყობილება, თანაგრძნობა. 2. სიმებიანი სამუსიკო საკრავი. 3. საქართველოს კურორტი. 4. ჩვეული ხელმოწერა. 5. ხელზე მოსამსახურე. 6. ლურჯი იაგუნდი. 11. XVIII საუკუნის ქართველი მწერალი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე. 13. ქართველი პოეტისა და პროზაიკოსის დომენიკა ერისთავის ფსევდონიმი. 14. საგანგებო სახელმწიფო ორგანო. 15. ჩაიკოვსკის ოპერა. 16. ა. სპენდიაროვის ოპერა. 20. მუსიკალური თემის, მელოდიის სახესხვაობა. 21. სამიჯნური. 25. XI საუკუნის ქართველი კალიგრაფი. 26. დიდი ფართო გზა. 28. ქართლის სოფელი. 29. საერთაშორისო ხელშეკრულება.

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა**

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ




რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
ს. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
რედაქტორის
99-98-71;
პ. მგ. მდივნის
99-71-68,
ცნობებისათვის
98-95-79.

მასალები გადაეცა ასაწყობად 26.01.98 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.05.98 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 26 000. შეკვ. 162.



„გრძნობა პირველი დღისით"...

დავით იაკობაშვილის ფოტო



ინდექსი 76178
ფასი 15 კაპ.